გვალვა ევროპაში - "გლობალური დათბობის" პირველი შედეგი? A5

უმცროსი ალიევი უფლებამოსილებას იჩერებს A5

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 7 აგვისტო, 2003 წელი. №213 (425) ფასი 30 თეთრი

დემოკრატობანა დამთავრდა

ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი პრეზიდენტია

მთავრობის გუშინდელმა სხდომამ უკვე აშკარად დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტი დღეს თავს საქართველოს სრულ ბატონ-პატრონად გრძნობს და არ აპირებს, ანგარიში გაუწიოს არც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, არც თავად პარლამენტს და, მით უმეტეს, ოპოზიციას. შევარდნაძე გუშინ შეუვალი, აგრესიული და ირონიული გახლდათ.

თამარ ხორბლაძე

მთავრობის სხდომის დაწყებამდე, სახელმწიფო კანცელარიაში სრულიად მოულოდნელად გამოჩენილმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს მოსვლის მიზეზი აუხსნა: **"მე მოვედი, რათა მივიღო პასუხები ენერგეტიკასთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზე".** მაგრამ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ შეიტყო, რომ ახალი დღის წესრიგი ამ საკითხის განხილვას აღარ ითვალისწინებდა.

მას შემდეგ, რაც დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების მიზეზის – მინისტრ მირცხულავას არყოფნის შესახებ (შეგახსენებთ, რომ მირცხულავა დღის სამი საათისთვის ჩუბაისს დახვდა) მოახსენეს, პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვა ითხოვა და პრეზიდენტისგან, გარკვეული შეყოვნების შემდეგ, ამის უფლება მიიღო:

"თბილისში "რაო"-ს (რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემები) ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისი ჩამოდის, რომელიც შეხვედრებს პარლამენტშიც გამართავს...

მე მოვედი, რათა მიმეღო პასუხები კითხვებზე – რა ხდება ქართულ ენერგეტიკაში? არის თუ არა თანხმობა გაცემული მთავრობისგან "თელასის" გაყიდვაზე?

თუ მთავრობას აღნიშნული საკითხის ირგვლივ თავისი პოზიცია ჩამოყალიბებული აქვს, მაშინ თუნდაც მინიმალური რამ პარლამენტმა და საზოგადოებამაც უნდა იცოდეს.

პარლამენტს რამდენიმეჯერ ჰქონდა ინფორმაციის მიღების მცდელობა, ჩატარდა ეკონომიკის დარგობრივი კომიტეტის სხდომაც, თუმცა იქ მოწვეულმა მთავრობის წარმომადგენელმა ვერაფერი თქვა ენერგოსისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

რჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობამ ან მართლაც არ იცის, რა ხდება და არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, ან, უბრალოდ, პარლამენტს არ ეუბნება არაფერს, – თქვა ნინო ბურჯანაძემ, - **პარლამენტი ამერიკული კორპორაციის მიერ "თელასის" რუსულ კომპანიაზე მიყიდვის ხელშეკრულების დეტალების გაცნობას არ ითხოვს, მაგრამ ძირითადი ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონდეს, რის შემდეგ ან მოიხსნება შექმნილი აჟიოტაჟი, ან პირიქით, უფრო გამწვავდება. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტთან ერთად უნდა ეძებოს გამოსავალი, რადგან ენერგეტიკის საკითხებთან მიმართებაში ქვეყანა სერიოზულ კრიზისში შედის".**

ამავე კონტექსტში გაიხსენა ნინო ბურჯანაძემ ჩავარდნილი ბეიკერის ვარიანტიც და პრეზიდენტს მიმართა: **"მე არ შემიძლია, არ მოგმართოთ, როგორც სახელისუფლებო ბლოკის ლიდერს და არ გამოვთქვა აღშფოთება იმის გამო, რომ სახელისუფლებო ბლოკმა ბეიკერის ვარიანტი ჩააგდო."**

გაგრძელება A3 გვერდზე

ბესო ბელაშვილის ფოტო

ჟვანია ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს და შევარდნაძეს საბოლოოდ ემშვიდობება

სოფო ბუკია

"გაერთიანებული დემოკრატების" ვაშლიჯვრის ოფისში გუშინ შევარდნაძესთან დასამშვიდობებელი პრესკონფერენცია შედგა, სადაც ზურაბ ჟვანიამ პრეზიდენტი საკუთარი ძალაუფლებისთვის ბრძოლაში დაადანაშაულა და ოპოზიციის "სერიოზული გაერთიანების" აუცილებლობის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადა, რათა ოპოზიცია გაერთიანებული ძალით დაუპირისპირდეს იმ საფრთხეს, რაც ხელისუფლებისგან საარჩევნოდაა მოსალოდნელი.

"ვემშვიდობები ედუარდ შევარდნაძეს, ადამიანს, რომელიც შეცდომების მიუხედავად, ეფექტურ საგარეო პოლიტიკას წარმართავდა, ქმნიდა იმის ილუზიას მაინც, რომ საქართველო აპირებს, დემოკრატიის გზას დაადგეს... ეს შევარდნაძე აღარ არსებობს," – "დაიტირეს" გუშინდელ გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტის დემოკრატიული იმიჯი.

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის ამგვარი განწყობა ქართულ ენერგოსექტორში მომხდარმა ყველასათვის კარგად ცნობილმა ცვლილებებმა და ბეიკერის დანაბარების წაყრუებამ გამოიწვია. ამ პროცესების მიღმა ჟვანია ქვეყნის კურსის შეცვლას კი არა, პრეზიდენტის ძალაუფლების გახანგრძლივების დიდ სურვილს უფრო ხედავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა და რუსეთის ხელისუფლებასთან კონსულტაციებიც ჰქონია

ინტერვიუ "რაო ეეს როსსიის" საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ანდრეი ეგოროვთან.

A3

ხელისუფლება ცემა-ტყეპაზე გადადის

პოლიციის მიერ ნაცემი "კმარას" აქტივისტი საავადმყოფოში მოათავსეს

ვერიკო თევზაძე

– გაზულუქებულებო, მუქთახორებო, ჟანდარმებო... თქვენ გგონიათ, ყველგან და ყოველთვის თქვენ უნდა იბოგინოთ?

– თქვენი დედა... იმათი დედაც.... ვინც თქვენ მხარს გიჭერთ!

– თქვენ გგონიათ, ის სასახლეები თქვენ გეკუთვნით... უბრალო ხალხის ზურგზე მოიწყეთ ცხოვრება!

– იმათი დედა.... ვინც თქვენს გვერდით დგას!

– გარეცხილები ხართ სინდის-ნამუსისგან, ასე გგონიათ, ყველაფრის უფლება გაქვთ ამ ქვეყანაში.... უსირცხვილოებო, ჯერ ქალს სცემეთ, მერე ადამიანს თავზე გადაუარეთ, თქვენ მთელ საქართველოს გადაუარეთ!

– უარესის ღირსები ხართ, თქვენი დედა...

– ქალებს მაინც მოერიდეთ, კაცებთან შარვლებს ივსებთ...

– თქვენი დედა... იმათი დედა... ყველას დედა, ვინც ვერ ისვენებს...

– უსირცხვილოებოოოო!

გაგრძელება A3 გვერდზე

ბესო ბელაშვილის ფოტო

შეტაკება პოლიციელებსა და "კმარას" აქტივისტებს შორის.

"ჩუბაისის ნათურა" - ენერგეტიკული უსაფრთხოების წილ

"ჩუბაისი კავკასიაში კრემლის პოლიტიკის გასატარებლად გაემგზავრა," – ასე შეაფასა "ბი-ბი-სის" რუსულმა ბიურომ რუსული ელექტროგიგანტის – "რაო ეეს როსსიის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის ვიზიტი თბილისში. "საქართველოს იმ ობიექტების შესყიდვით (ვალებში გაქვითვით), რომელთაც ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულება გააჩნია, კრემლმა, შესაძლოა, ოფიციალური თბილისის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება მოახერხოს," – "ბი-ბი-სის" ამ შეფასებას მყარი საფუძველიც აქვს. ანატოლი ჩუბაისი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ალექსანდრ ვოლოშინის კონტროლის ქვეშ მყოფ "რაოს" ხელმძღვანელობს, რუსეთში უკვე დიდი ხანია, რაც ბიზნესმენად კი არა, კრემლის პოლიტიკის გამტარებლად აღიქმება. შედეგად, საქართველოში "რაოს" შემოსვლას კომპანიის მინორიტარი აქციონერები უარყოფითად შეხვდნენ. სამაგიეროდ, კმაყოფილი დარჩა დიდი რუსეთი: "წითურმა" (ასე "ეფერებიან" სამშობლოში ჩუბაისს) "თეთრ მელას" (ასეთი ახსოვთ შევარდნაძე) კარგად აჭამა," – ამ გამოხმაურებით შეხვდნენ რუსეთის რიგითი მოქალაქეები ინფორმაციას "რაოს" საქართველოში შემოსვლის თაობაზე.

მაია ურუშაძე

მოსკოვში ვარაუდობენ, რომ შევარდნაძის მიერ რუსული ინტერესების ლობირება, რაც ქვეყნის სტრატეგიულ დარგში "რაოს" შემოყვანაში გამოიხატა, პრეზიდენტის მხრიდან ენერგოკრიზისის დაძლევის გზით ხელისუფლების შენარჩუნებას ემსახურება. **"ჩუბაისის საქართველოში ვიზიტს მიღმა აშკარად ჩანს კრემლის გეგმები – ახალგაზრდა და აგრესიული რუსული კაპიტალის ექსპანსია ამ ქვეყანაში,"** – ასეთია რუს ექსპერტთა შეფასებები.

მიუხედავად ამისა, თბილისში ჩამოსულმა ანატოლი ჩუბაისმა ჟურნალისტებთან საუბარში "რაო ეეს როსსიის" პოლიტიკური მისია უარყო. **"რაო ეეს როსსიის" სტრატეგია დსთ-ს სივრცეში ენერგეტიკული ბიზნესის განვითარებაა და არა პოლიტიკური მიზნები,"** - განაცხადა მან. თუმცა, მალევე მოუხდა აღნიშნა, რომ საქართველოს ენერგობაზარზე შემოსვლის ბრძანება "რაო ეეს როსსიიმ" სოჭის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ კრემლიდან მიიღო.

"მე ძალიან კმაყოფილი ვარ ყველა საუბრით, რომლებიც მარწმუნებს, რომ ქართული მხარე სერიოზულად, სტრატეგიულად უყურებს ჩვენი თანამშრომლობის განვითარებას. განვიხილეთ რამდენიმე პრაქტიკული საკითხი, რაც ხელმოწერილ პროტოკოლში აისახა. შევათანხმეთ ხანგრძლივი სტრატეგია, რაც ეხება ახალ პროექტებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მე ამ სტრატეგიის მიღმა ვხედავ როგორც ბიზნეს-საფუძველს, ასევე პოლიტიკურ საფუძველსაც," – განაცხადა ანატოლი ჩუბაისმა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ დავით მირცხულავასთან, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან და საქართველოს

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	32
ბათუმი	26
ქუთაისი	29
სოხუმი	26
ცხინვალი	25
თელავი	29
ბოლნისი	28
ფასანაური	26
სამტრედია	28
ლაგოდეხი	32
გორი	27
მანგლისი	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1250
ევრო	2.4240
გირვანქა სტერლ	3.4363
რუბლი	0.0701

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

მთავრობას არ აინტერესებს, ხვალ რა მოხდება

ხაზინამ გამოაქვეყნა სახელმწიფო ბიუჯეტის 7 თვის შესრულების ოპერატიული ინფორმაცია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 7 თვის გეგმა 85 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 91 მილიონ 450 ათასი ლარია.

ცენტრალური ბიუჯეტი შესრულებულია 84 პროცენტით, გარღვევა 72 მილიონ 990 ათასი ლარია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა 31 ივლისს 25,18 მილიონი ლარი შეადგინა, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები - 22,49 მილიონი ლარი. თვის სხვა დღეებში საშუალოდ 1,5-2 მილიონი ლარის მობილიზება ხდება. ნათელია, რომ მთავრობის პრიორიტეტი უცვლელია: - მთავარია გეგმის შესრულება ფურცელზე და ხვალ რა მოხდება, არ აინტერესებთ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტრომ კარგად იმუშავა ეროვნულ ბანკთან. საგარეო ვალების მომსახურების დაფინანსების ხარჯზე გაუმჯობესდა ეჯასტორის მაჩვენებელი, რამაც ეროვნულ ბანკს მთავრობისათვის გრძელვადიანი სესხის გამოყოფის საშუალება მისცა. თუმცა, ეროვნული ბანკის გრძელვადიანი სესხის წლიური გეგმა 40 მილიონი ლარია, ხოლო ათვისებულია უკვე 35,31 მილიონი ლარი. მარტო ივლისში იქნა ათვისებული ეროვნული ბანკის გრძელვადიანი სესხი 16,8 მილიონი ლარის ოდენობით.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 7 თვის განმავლობაში გარლვეულია 91.45 მილიონი ლარი

ოპერატიული ინფორმაცია 4 აგვისტო

ათ. ლარებში

დასახელება				%	
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	621.63	530.38	47%	85%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და ტრანსფერები	833.7	458.46	371.47	45%	81%
საგადასახადო შემოსავლები	659.0	365.15	329.18	50%	90%
არასაგადასახადო შემოსავლები	58.4	42.01	38.77	64%	92%
ტრანსფერები	93.4	43.5	9.34	10%	22%
საგარეო ვალები	244.2	130.01	111.13	54%	94%
საშინაო ვალები	49.5	27.35	22.61	46%	83%

დასახელება				%	
საგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	311.7	304.71	290.83	57%	95%
სხვა შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	388.1	214.56	175.23	45%	82%

დასახელება				%	
ტრანსფერის გადმოსახადი	250.0	124.34	152.48	61%	123%
ტრანსფერი სახელმწიფო სამსახური	8.5	8.5	7.53	89%	89%
სამსახური ტრანსფერების შემოსავალი	22	19.16	24.27	110%	127%
ტრანსფერი ბიუჯეტის სხვა	40	29.54	35.31	88%	120%
ტრანსფერი ბიუჯეტის სხვა ტრანსფერის სხვა			8		
პრივატიზაციის შემოსავალი	41.5	9.31	11.28	27%	119%
საინვესტიციო ტრანსფერი	127.8	57.61	74.09	58%	129%

სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 06.08.03

აუქციონის №	31
ემისიის ვადა	133 დღე
ემისიის ოდენობა	3,000,000
მოთხოვნა	6,424,700
დისკონტის პროცენტი min-max	33.00%-39.70%
დისკონტის საშუალო პროცენტი	37.77%
ბიუჯეტის შემოსავალი	2,637,071
დახაფგარი თანხა	2,000,000
ბალანსი	637,071

ჟვანია ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს და შევარდნაძეს საბოლოოდ ემშვიდობება

პირველი გვერდიდან

"ბეიკერის ვარიანტის უარყოფით და ქართული ენერგოსისტემის რუსული კომპანიისთვის ჩაბარებით შევარდნაძემ ვაშინგტონი კი არ ჩაანაცვლა მოსკოვით, არამედ ყველაფერი საკუთარ ინტერესებს ანაცვალა," – აღნიშნა ჟვანიამ.

"დემოკრატების" ლიდერი დარწმუნებულია, რომ არჩევნებამდე დარჩენილ სამ თვეს ხელისუფლება უქმად არ მოცდება და ყველანაირად შეეცდება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. სწორედ ამ "სახელისუფლებო სცენარის" თავიდან ასაცილებლად ჟვანია კიდევ ერთხელ მოუწოდებს ოპოზიციას გაერთიანებისკენ და ძველებურად მზადაა, გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო სიაში მოკრძალებული ადგილი დაიკავოს.

ერთადერთი ბერკეტი, რაც "გაყალბებისთვის განწირულ არჩევნებს" იხსნის, მოსახლეობის აქტიურობა და საერთაშორისო დამკვირვებლების საარჩევნო პროცესში მაქსიმალური ჩართვაა, - მიაჩნია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერს.

ჟვანიამ გუშინ კომენტარი გააკეთა "რაო ეეს როსსიი"-ს გამგეობის თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის ვიზიტთან დაკავშირებით.

ზურაბ ჟვანია: "საქართველოს ენერგოსისტემის ჩაბარებით მოხდება ტრაგედია".

ბესო გულაშვილის ფოტო

"ბოლო ერთი თვის მანძილზე ვიყავი ერთადერთი, ვინც ვამბობდი, რომ ამ კომპანიისთვის საქართველოს ენერგოსისტემის ჩაბარებით მოხდება ტრაგედია," – აცხადებს ჟვანია.

მიუხედავად ამ განწყობისა, "დემოკრატების" ლიდერი მზადაა, შეხვდეს "რაო ეეს როსსიი"-ს გამგეობისა და რუსეთის "მემარჯვენე ძალთა კავშირის" ერთ-ერთ გავლენიან წევრს ლეონიდ გოზმანს, რომელიც გუშინ ჩუბაისთან ერთად ჩამოვიდა თბილისში. ჟვანია აცხადებს, რომ მზადაა, მოისმინოს გოზმანის პოზიცია, თუმცა იმთავითვე იცის, რომ ის რადიკალური პოზიცია, რომელიც მას "რაო"-ს საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით აქვს, არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება.

"პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებს სახელისუფლებო ვადის გახანგრძლივებისთვის"

ასე აფასებენ "ახალი მემარჯვენეები" შევარდნაძის ბოლოდროინდელ პოლიტიკას

"ახალ მემარჯვენეებს" გუშინ, ჟვანიას მსგავსად, შევარდნაძესთან დამშვიდობების საღამო არ მოუწყვიათ, თუმცა, პრესკონფერენციაზე, რომელსაც "ახლების" ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე უძღვებოდა, პრეზიდენტი ლანძღვის მთავარი ობიექტი მაინც გახდა.

"საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა დამოუკიდებლობაზე... დღემდე ჩვენი ქვეყანა პრეზიდენტის სკამზეა დამოკიდებული... დღეს პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებს სახელისუფლებო ვადის გახანგრძლივებისთვის," – ასე შეაფასეს შევარდნაძის ბოლოდროინდელი პოლიტიკა "ახლებმა".

სოფო ბუკია

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენერგოკომპანიის "რაო ეესის" ყველაზე გავლენიანი ფიგურები, ამავდროულად, "რუსეთის მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" წევრები არიან და ქართველ "ახალ მემარჯვენეებს" მათთან კარგი ურთიერთობა აქვთ, ისინი არ დაუშვებენ, რომ ქვეყნის ინტერესები "რაიმე სხვა ურთიერთობებს" შეეწიროს. გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ "ახლები" საქართველოში "რაო ეესის" სერიოზული ბიზნესის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ თუ მათი რუსი კოლეგები საქართველოში პოლიტიკურ ექსპანსიას წამოიწყებენ, "ახლები" მათთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტენ.

გუშინდე "ახალი მემარჯვენეების" ოფისში, როგორც იტყვიან, პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპიდან მივიდა ჩუბაისის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, "რაო ეეს როსსიი"-ს გამგეობისა და "სპს"–ის ერთ-ერთი გავლენიანი წარმომადგენელი ლეონიდ გოზმანი.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერებისა და გოზმანის შეხვედრა დახურული იყო, თუმცა გოზმანმა გამონახა დრო და ჟურნალისტებს მცირე კომენტარზე უარი არ უთხრა.

გოზმანს ძალიან უკვირს ის ალიაქოთი, რაც "რაო ეესის" სახელის ხსენებისთანავე საქართველოში ატყდა. იგი გვარწმუნებს, რომ რუსული კომპანია საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ექსპანსიას არავითარ შემთხვევაში არ აპირებს. **"რაო ეესი" კომერციული სტრუქტურაა, ამდენად, ჩვენ არ ვაპირებთ საქართველოს პოლიტიკაში ჩარევას,"** – დაგვაიმედა გოზმანმა. საპროტესტო აქციები მას არ უკვირს, რადგან მიიჩნევს, რომ ეს **"აზრის დემოკრატიული გამოხატვაა",** რადგან საქართველო, ისევე, როგორც მისი ჩრდილოეთი მეზობელი, საკმაოდ დემოკრატიული ქვეყანაა. მისი თქმით, საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც ვერ გამოიმუშავებს საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიას და სწორედ ამ კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლაში მას "რაო ეესი" დაეხმარება. "რაო ეესის" გამგეობის წევრი არ გამორიცხავს საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას, თუმცა ამბობს, რომ ტარიფის განსაზღვრა ქვეყნის ხელისუფლების პრეროგატივაა. **"საქართველოში დენზე ექვსჯერ უფრო დიდი ტარიფია, ვიდრე რუსეთში,"** –აღნიშნა სხვათა შორის გოზმანმა.

ამერიკელთა რჩევებს, თანდათან, მითითების სახე მიეცა

სოფო ბუკია

"საქართველოს სახელმწიფოს არსებობას დღეს მთელ მსოფლიოში მხოლოდ ორი "ვინმე" გულშემატკივრობს: თავად ქართველები და ამერიკელები," - აცხადებს პოლიტოლოგი, "რესპუბლიკური პარტიის" წევრი დავით დარჩიაშვილი, ვაშინგტონში, ჯონს ჰოპკინსისის უნივერსიტეტში ცხრათვიანი მოღვაწეობის შემდეგ.

- ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები მართლაც იქცევა საქართველოსთვის გარდატეხის წერტილად, თუ ამ შემთხვევაში მართლდება ქართული ანდაზა - "როგორც ქუხს, ისე არ წვიმს" და ზოგიერთი პოლიტიკოსის პირადი ამბიციების დაკმაყოფილების მეტს 2 ნოემბერი ვერაფერს შეცვლის?

- არ არის გამორიცხული, არაფერი შეიცვალოს, თუმცა, დღეს უკიდურეს ზღვართან ვართ, როცა მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ქვეყანას არა აქვს ბიუჯეტი, არა გვაქვს სახელმწიფო. ამგვარი ვითარება ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის - ქართველებისთვის, ეს არ უნდა დასავლეთსაც. თუ ამ არჩევნებმა, რომელსაც ძალიან მალე მოჰყვება პრეზიდენტის არჩევნები, სხვაგვარად სავალი გზა არ გამოაჩინა და აღმასვლის პროცესი არ დაიწყო, მაშინ ჩვენ წარმოუდგენლად მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდებით.

ქართული პოლიტიკური სპექტრი ძალიან ჭრელია, მაგრამ მაინც შეიძლება მისი თეორიული თუ სქემატური დაყოფა. ქართულ პოლიტიკაში წამყვანი იდეებია: დემოკრატიული იდეა, ნაციონალური იდეა და ოლიგარქიული. ამ სამ ძალას შორის ვინ გაიმარჯვებს 2 ნოემბერს, ეს არის მთავარი. თითოეული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც დღეს საქართველოში ასე თუ ისე კარგად იკვეთება, ფლობს ამ სამივე იდეას, ოღონდ მეტ-ნაკლები პროცენტულობით. ჩემი აზრით, სახელისუფლებო ძალებში, გამომდინარე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან, ოლიგარქიული იდეა სჭარბობს დანარჩენ ორს. ხელისუფლებაში მყოფთ დაგროვილი აქვთ დიდი სიმდიდრე, რომლის დაკარგვისაც ეშინიათ. არის ჯგუფები, სადაც სჭარბობს ნაციონალიზმი, მაგალითად - ლეიბორისტები, შარაძე...

არჩევნების შედეგები ჭრელი იქნება, ბევრი პარტია შეძლებს სავალდებულო ბარიერის გადალახვას და პარლამენტში შესვლას, ვერც ერთი აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს. თუმცა, უკვე აღვნიშნე, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია, თუ რომელი იდეა იქნება დომინანტი ამ სამი იდეიდან. ეს იქნება გადამწყვეტი, ამაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი, სამომავლოდ სავალი გზა.

- რამდენად შესაძლებელია ოპოზიციის რეალური გაერთიანება საარჩევნოდ?

- არა მგონია, ოპოზიციამ შეძლოს ერთიანი ფრონტით გამოსვლა. ამის ხელშემშლელი ძალიან ბევრი ფაქტორი არსებობს. პირველ რიგში და რაც ყველაზე მთავარია, პოლიტიკური კულტურის უქონლობა. დღეს ბრძოლაა ძალაუფლებისთვის. ეს იწვევს არაკოორდინირებულობას ოპოზიციურ ჯგუფებს შორის.

საქართველოში საქმის ერთად კეთების ძალიან ცოტა პრეცედენტი და გამოცდილებაა. ეს ძალიან ღრმად არის ჩვენში გამჯდარი. ბოლომდე არავინ ენდობა გვერდზე მდგომ ადამიანს.

- როგორ შეაფასებდით ბეიკერის ვიზიტს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იყო უფრო მნიშვნელოვანი სტუმრობა, ვიდრე ცსკო-ს დაკომპლექტების ვარიანტის სახით დატოვებული "ანდერძი", რომელიც ვერა და ვერ აღვასრულეთ?

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც 2003 წელს მოხდა, არის ბეიკერის ვიზიტი.

ჩემი აზრით, ბეიკერმა საკუთარი ვიზიტით ძალიან ბევრ საინტერესო რამეზე მიანიშნა. მისი სტუმრობისას ნათლად გამოჩნდა ამერიკის პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში. პირველი მინიშნება გახლდათ ის, რომ შევარდნაძის ფაქტორს ყურადღება ექცევა, მაგრამ ის არ არის გადამწყვეტი ამერიკელებისთვის. ამერიკას სჭირდება სანდო პარტნიორი საქართველოს სახით, თუმცა მას იმდენადაც არ უღირს საქართველო, რომ დაუსრულებლად "ზურგით ათრიოს". ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოზე გამავალი ნავთობსადენი, სტაბილური კავკასიის რეგიონი და ა.შ. მაგრამ ეს არ არის ამერიკის უმთავრესი პრიორიტეტი. ამერიკის უსაფრთხოების სტრატეგიას თუ გადავხედავთ, იქ ეს საკითხები მეხუთე-მეექვსე პუნქტად არის შეყვანილი. მანამდეა ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი, ევროპასთან ურთიერთობა... ბოლო დროს ამერიკელებისთვის პრიორიტეტად იქცა აფრიკაც.

ამ დროს არის ქვეყანა, რომელიც "არშემდგარის" ზღვარზე დგას, რომლის გაუთავებლად "ზურგით თრევა" ამერიკას არ უღირს, მით უმეტეს - რუსეთთან მუდმივად ურთიერთობების გარკვევის პირობებში. ბეიკერის ვიზიტმა მიანიშნა საქართველოსაც და მის პრეზიდენტსაც, რომ საქართველო არ არის მხოლოდ ნავთობსადენი და შევარდნაძე. ამერიკამ ნათლად გაგვაგებინა, რომ თუ მასთან ურთიერთობა გვინდა, ჩვენი ქვეყანა ქვეყნად უნდა ვაქციოთ.

მეორე, ძალიან მკაცრი მინიშნება გახლდათ ის, რომ საქართველოში ყველამ - როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ - კეთილი უნდა ინებოს და ზოგჯერ მაინც საკუთარ ამბიციებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენოს.

ძალიან ცოტა ხანია, რაც ამერიკიდან ჩამოვედი. პოლიტიკოსებთან თუ პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობისას ნათელი ხდებოდა, რომ იქაც არიან პოლიტიკური ძალები და თანაც საკმაოდ გავლენიანი, რომელთათვისაც ყველგან დემოკრატიის დამყარება პრიორიტეტი სულაც არ არის. მათ ურჩევნიათ ზოგან სტაბილურობა, ზოგან კი - არც თუ ისე სუფთა და პატიოსანი რეპუტაციის ხალხის დახმარება.

ბეიკერი იმ ხალხთან არის ახლოს, რომელთაც ჩამოყალიბებული სტრატეგიული ამოცანები აქვთ. ესენი არინ ნეო-კონსერვატორები, ეს არის რამსფელდი, ეს არის ის ხალხი, ვინც ომობს დღეს ერაყში. ამიტომ, ყოფილი სახელმწიფო მდივნის ვიზიტმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. ისინი არ მოითმენენ იმას, რომ ბასილ მკალავიშვილის მსგავსმა ხალხმა განსაზღვროს საქართველოს აწმყო და მომავალი, და არა პრეზიდენტმა ან რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერმა. ორი ვარიანტია: ან ამერიკა დაანებებს თავს საქართველოს, ან ყველანაირად შეეცდება, რომ საქართველოში დინამიკა შეცვალოს.

"არშემდგარი" ქვეყნის გაუთავებლად "ზურგით თრევა" ამერიკას არ უღირს".

ბესო გულაშვილის ფოტო

- რა გზებით შეეცდება ამერიკა ქართული დინამიკის შეცვლას?

- რა თქმა უნდა, მხოლოდ რჩევებით და ფინანსურად.

- ქართული მხარე მზადაა საიმისოდ, რომ გონიერი რჩევა გაითვალისწინოს?

- თქვენ უკვე ხედავთ, რომ მათ რჩევებს უფრო მითითებების ხასიათი მიეცა. მანამდე ასეთი რამ არ იყო. დასავლეთის კულტურაში არ ზის ის, რომ სუვერენიტეტი აშკარად შეგილახონ და გითხრან, რა უნდა გააკეთო. მაგრამ ბეიკერის ვიზიტი უკვე რჩევასა და საყვედურ-მითითებას შორის ზღვარზე იყო. კატეგორიული გახდა სავალუტო ფონდიც, ასეთივე კატეგორიული ხდება საქართველოსთან ამერიკის ადმინისტრაცია. დიდი იმედი მაქვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ რჩევებს მივიღებთ იმიტომ, რომ ამ რჩევებზე უკეთესი ალტერნატივა არ გვაქვს, მათზე უკეთესი ალტერნატივა ვერ შევქმენით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ის, რაც 1992-1993 წლებში, როცა საზოგადოება ავადმყოფი იყო. ეს ავადმყოფობა ბოლომდე განკურნებული არ არის. თუ ამერიკა მიგვატოვებს, სენი ისევ იჩენს თავს და გამოიწვევს საშინელ ტკივილს. შესაძლოა, საქართველო გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან, მოიხადოს ეს სახადი... ალბათ, მერე მოვა ჭკუაზე. ის დრო აღარ არის, ეთნიკური ჯგუფები რომ ქრებოდნენ და ჩვენც არ გავქრებით, თუმცა რა დანაკარგებით გამოვალთ ამ მდგომარეობიდან, ძნელი სათქმელია.

დღეს თუ შევძელით დემოკრატიასა და ნაციონალიზმს შორის ბალანსის დამყარება და ოლიგარქიზმის შეკვეცა, მაშინ მისაღები დავრჩებით დასავლეთისათვის და ქართული პოლიტიკური სისტემა გასაგები იქნება რიგითი ქართველისთვისაც. ამერიკის დახმარებით და ჩვენი ერთად ყოფნით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება.

დასკვნის სახით აუცილებლად მინდა გითხრათ ერთი რამ: საქართველოში დღეს თუ რაიმე ერთობაა ქართველებს შორის, ეს არის ჩვენი ეთნოსი, ქართველების ეთნოსი. ერის გაერთიანებისა და ძლიერების ფორმულა ილიამ აღმოგვიჩინა თავის დროზე: "ენა, მამული, სარწმუნოება". ილიასეულ სამებას დასავლურ-დემოკრატიული სამება რომ ამოვუყენოთ გვერდით - "დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები", მგონია, რომ საქართველოს გადარჩენა უწერია.

მოკლედ

საარჩევნო კოდექსი კვლავ მიუღებელია

როგორც ჩანს, საარჩევნო კოდექსისადმი პარლამენტის ინტერესი მხოლოდ იმ მუხლებით შემოიფარგლა, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტებასა და კომისიებში წევრთა დანიშვნის მექანიზმებს ეხებოდა.

გუშინ პარლამენტის სხდომა, კვორუმის არარსებობის გამო, ჩაიშალა. არადა, სწორედ ამ სხდომაზე უნდა დასრულებულიყო, საარჩევნო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვა. პარლამენტარებმა აბსოლუტურად უინტერესოდ მიიჩნიეს ისეთ მუხლებზე მსჯელობა, რომელიც ხმების დათვლის მექანიზმებს, ამომრჩეველთა სიების შედგენას, მათ მარკირებას, ასევე ხმების დათვლის მექანიზმების გაუმჯობესებასა და არჩევნების შედეგების გასაჩივრების წესის დახვეწას ეხებოდა.

გუშინ დეპუტატებმა სხდომის დაწყება რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ კვორუმი ვერც საღამოს ოთხი საათისთვის მოგროვდა. ამ დროს დარბაზში მხოლოდ 52 პარლამენტარი იჯდა. ასე რომ, პარლამენტის ვიცესპიკერი როსტომ ჭყონია იძულებული გახდა, სხდომა დღეისთვის გადაედო. თუმცა არ არის გამორიცხული, დეპუტატებმა შეკრება ვერც დღეს შეძლონ. მით უფრო, რომ უმრავლესობამ უკვე მოასწრო თბილისიდან გამგზავრება და მომავალ კვირამდე ქალაქში დაბრუნებას არ გეგმავს. ***24 საათი***

ორი სიტყვით

თბილისი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი სამოცდარვა თანამშრომელი ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მუშაობს, განაცხადა სახმელეთო ჯარების ყოფილმა სარდალმა ნიკა ჯანჯღავამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ოპოზიცია არ გამორიცხავს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხზე "დემოკრატიული აღორძინების კავშირსა" და ხელისუფლებას შორის მომხდარი "გარიგების" შემდეგ, ხელისუფლების მხარდამჭერი ფრაქციები პარლამენტში მხარს დაუჭერენ სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ კანონპროექტს, რომელიც "აღორძინებამ" ოთხშაბათს პარლამენტში წარადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებული კორუფციის მაღალი დონე ნეგატიურ გავლენას ახდენს აშშ-სთან სამხედრო კავშირებზე და შეიარაღებული ძალების რეფორმირებაზე ნატო-ს სტანდარტების მიხედვით, აცხადებს სახმელეთო ჯარების ყოფილი სარდალი ნიკა ჯანჯღავა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აცხადებს, რომ სამშაბათს პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების "ბეიკერის ფორმულა" მიიღო, რაც ოთხშაბათს დილით მან აშშ-ს შეატყობინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი-კაშია, როგორც ჩანს, საქართველოში საფრანგეთის ახალი ელჩი გახდება მას შემდეგ, რაც შემოდგომაზე კადენციის ვადა ამოეწურება ამ ქვეყნის დიპლომატიური მისიის ამჟამინდელ ხელმძღვანელს მირეი მიუსოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოჭსა და სოხუმს შორის ივლისის ბოლოს ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად განახლებული საზღვაო მიმოსვლა რეგულარულად ხორციელდება, - აცნობა ოთხშაბათს პრაიმ-ნიუსს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთი აქტიურად მუშაობს სანაპირო დაცვის განმტკიცების საკითხებზე, მათ შორის, ამ მიზნით სამოქალაქო გემების გადაიარაღებაზე, - განუცხადა ოთხშაბათს პრაიმ-ნიუსს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი "ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნას, სტრატეგიული ობიექტების ნაციონალიზაციის შესახებ, არ ეთანხმება. შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე ამ იდეას რევოლუციური ლოზუნგი უწოდა, რომელიც ეკონომიკის დანგრევას გამოიწვევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ექს-ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია პოლიციელთა საერთაშორისო ასოციაციაში საქართველოს წარმომადგენლად სოსო ალავიძის დანიშვნას აპრობატებს და პოლიციელთა საერთაშორისო ასოციაციას ამ პრესტიჟული ორგანიზაციიდან მის გარიცხვას სთხოვს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ხელისუფლება ცემა-ტყეპაზე გადადის

ვირველი გვერდიდან

ეს "დიალოგი" გუშინ მაჩაბლის ქუჩაზე შედგა. ერთ მხარეს ფორმიანი და "უფორმო" პოლიციელები იდგნენ, მეორე მხარეს "კმარას" მხარდამჭერები, რომლებიც მაჩაბელზე პოლიციის მიერ ნაცემ ახალგაზრდებს გამოექომაგნენ. რომ არა დათო ტურაშვილი, მაია ნადირაძე, ლაშა ბუღაძე და კიდევ რამდენიმე პიროვნება (მოგვიანებით მათ ნოდარ ნათაძე და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ნოდარ ეფრემიძეც შემოუერთდნენ), რომელთაც პოლიციამ ანგარიში გაუწია, შესაძლოა, წესრიგის "დამცველებს" ერთერთი "კმარელი" გოჩა ჩხეტია ხელში შემოკვდომოდათ. პროფესიულ სამოსში გამოწყობილი პოლიციელების გვერდით მრავლად იყო სამოქალაქოტანსაცმლიანი, გამორჩეულად კუნთმაგარი ახალგაზრდობა. ქალაქის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძე უმცროს კოლეგებს გაკავებული ჰყავდათ, ამაოდ მოუწოდებდნენ სიმშვიდისკენ. **"თქვენ მასწავლით, თქვე ჩემა, როგორ უნდა მოვიქცე"**, - ყვიროდა გაცხარებული სალაძე.

პროცესმა, რომელიც მაჩაბლის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტით დასრულდა, უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან აიღო სათავე. "კმარას" აქტივისტებისგან შემდგარი გრძელი, ცოცხალი მწკრივი სადენზე ასხმული ნათურებით იყო გაფორმებული, რაც იმას გვაუწყებდა, რომ საპროტესტო აქცია "თელას-რაოეს-ის" თემას ეძღვნებოდა. თითოეული "კმარელს" გულზე სასტვენი ეკიდა. კოლექტიური სტვენის გამაყრუებელ ხმას დროდადრო საყვირი და დაფდაფი ენაცვლებოდა. ხმაურს პროცესიაში შემთხვევით მოხვედრილი მანქანების საყვირები კიდევ უფრო აძლიერებდა. ტროტუარზე გამოფენილ მოქალაქეებს ერთ-ერთი "კმარელი" გაოცებას არ აცლიდა: იგი ცელულოიდის მოზრდილი პარკიდან პატარა საინფორმაციო ფურცლებს არიგებდა და თვალებგაფართოებულ ადამიანებს ანონსის სახით მოკლე ინფორმაციას აწვდიდა.

პარლამენტის შენობის წინ "კმარელებმა" შავად შეღებილი ფანერის კუბო დაასვენეს. კუბო ასვატიანი ნათურებით აავსეს და შემდეგ მიწა მიაყარეს: **"საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა დასამარდა,"** - ამგვარ კომენტარს იძლეოდნენ ღონისძიების ორგანიზატორები.

კანცელარიასთან აქციის მონაწილეებს რიცხობრივად მათზე უფრო მეტი პოლიციელი დაუხვდათ. პოლიციელთა კორდონმა "კმარელებს" გასაქანი არ მისცა. კორდონის ოდნავ გარღვევა მაინც მოხერხდა, "კმარელები" ბორდიურზე ჩამოსხდნენ. **"ფრთხილად, გოგოებო, საკვერცხეები არ გაგეყინოთ"**, - პოლიციელებმა

საქართველოს ენერგეტიკის სიმბოლური დაკრძალვა.

ნონო ლეონიძის ფოტო

აგრესიის გამოვლენა ლაზღანდარობით დაიწყეს. აგრესიამ თანდათანობით იმატა: კანცელარიიდან ლეონიძის ქუჩაზე რომ გადაინაცვლეს, "კმარას" აქციის მონაწილეებს პოლიცია მუქარით აცილებდა: **"ყველანი უნდა გაგჭყლიტოთ კაცმა, უნდა გაგსრისოთ, ამის ღირსები ხართ თქვენ!"** შემდეგ მოხდა ინციდენტი მაჩაბლის ქუჩაზე, სადაც რამდენიმე აქტივისტი სცემეს. ხოლო გოჩა ჩხეტია, რომელიც ნაცემ გოგონას მიეშველა, გაჭყლეტას ბეწვზე გადაურჩა. შეიძლება ითქვას, რომ იგი სიკვდილისგან დათო ტურაშვილის თავგამოდებამ იხსნა. "კმარას" ორგანიზატორთა ინფორმაციით, ჩხეტია ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოათავსეს.

"კმარა", - წამიერად დაიგრუხუნა ბოლოს თბილისის მოღრუბლულმა ცამ და წვიმა წამოუშინა. წვიმამ ერთდღიანი ვნებათაღელვა ჩააცხრო, საერთო პოლიტიკური ამინდი კი უცვლელი რჩება: საქართველოში წინასაარჩევნო ვითარება დღითიდღე იძაბება. გუშინდელმა ინციდენტმა ცხადყო, რომ საარჩევნო ციებ-ცხელებაში ხელისუფლება იმდენად კარგავს წონასწორობას, რომ მოჩვენებით ცივილურობასაც ვერ ინარჩუნებს. შერყეული ძალაუფლების განმტკიცებას ხელისუფლება პოლიციურად აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას თამაშის არანაირი წესების დაცვა არ სურს და, თუ საზოგადოება ამის ნებას დართავს, ყველაფერზე წამსვლელია.

"ჩუბაისის ნათურა" - ენერგეტიკული უსაფრთხოების წილ

ჩუბაისი კმაყოფილია საქართველოს მთავრობა თვალებში შესცქივინებს.

ნანო ბესელიას ფოტო

ვირველი გვერდიდან

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან გამართული ხანმოკლე შეხვედრების შემდეგ, სასტუმრო "მერიოტში" საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე, სადაც მას მხარს მირცხულავა-ნიკოლაიშვილის ტანდემი უმშვენებდა.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება საქმის კურსში იყო "რაოსთან" მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე. **"საქართველოს მთავრობისთვის უცნობი მხოლოდ კონფიდენციალური კონტრაქტის პირობები იყო,"** – აცნობა მან ჟურნალისტებს.

ჩუბაისი ქვეყნის უწყვეტი ელექტრომომარაგების გარანტიასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ **"გარანტიებს მხოლოდ სადაზღვევო კომპანიები იძლევიან. თუმცა, თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა ხელს არ შეუშლის "რაოს", კომპანია საქართველოს სტაბილურ ენერგომომარაგებაზე იმუშავებს, ისევე როგორც რუსეთში,"** - განმარტა ჩუბაისმა.

სავარაუდოდ, "რაო" ამერიკულ აქტივებს 15 აგვისტოს გადაიბარებს. ისიც გაირკვა, რომ "თელასის" ახალი ხელმძღვანელი ეროვნებით ლატვიელი იქნება.

როგორც "24 საათს" "რაო ეეს როსსიის" შვილობილი და "რაო ნორდიკის" ("თელასის" ახალი მფლობელი) მამობილი კომპანია "ინტერ რაოს" გენერალურმა დირექტორმა ევგენი დოდმა განუცხადა, "რაო" ცდილობს მოიცვას დსთ-ს ბაზარი და ამჟამად აწარმოებს საუბარს "ეი-ი-ესისგან" უკრაინული და ყაზახური აქტივების შესყიდვის თაობაზე, რომლებიც, ჯერჯერობით, არ შეუძენია. საქართველოში "რაოს" შემოსვლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად "რაოს" ქართული ენერგოაქტივების მომავალი მმართველი თურქეთის ბაზარზე გასვლას ასახელებს.

სხვათა შორის, სტრატეგიული მიზნების ასე იოლად განხორციელებით კმაყოფილი ჩუბაისი საქართველოსა და ქართველებს იაფ ელექტროენერგიასაც ჰპირდება. **"რუსეთში ელექტროენერგია ხუთჯერ იაფია, ვიდრე საქართველოში. ჩვენ აქ ტარიფის ოპტიმიზაციაზეც ვიმუშავებთ,"** – განაცხადა მან.

წარმატებული დღე ჩუბაისმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრით დაასრულა და დაძაბული პოლიტიკური ფონის განმუხტვას შეეცადა. როგორც შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძე აცხადებდა, **"ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას არაფერი შეუთავაზებია ჩუბაისისთვის ქვეყნის ინტერესების დასაცავად. არადა ირკვევა, რომ, თურმე, ის ამის წინააღმდეგი არ იყო."**

თუმცა, "რაოს" შემოსვლის გამო საქართველოში პოლიტიკური ფონი კვლავ დაძაბულია. პარლამენტის მოთხოვნით, შექმნილია საგანგებო კომისია, რომელიც "თელასის" აქტივების საქართველოს მფლობელობაში დაბრუნების გზებს ეძებს. როგორც ჩუბაისის განცხადებებიდან ჩანდა, "რაოს" საქართველოსთან იურიდიული დავების არ ეშინია. მეტიც: "თბილსრესის" მეათე ენერგობლოკზე მომხდარი ხანძრის გამო, შესაძლოა რუსულმა ელექტროგანგმა სასამართლოში ცნობილ ელექტრობრენდ "სიმენსს" უჩივლოს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წელია, "სიმენსთან" ურთიერთობის გარკვევაზე საქართველოს ხელისუფლება ამაოდ ოცნებობდა. ეს საქმე ცარიელ საუბარს არ გასცდენია.

ჩუბაისის ენერგოდაპირებით კმაყოფილია პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი. მისი კმაყოფილება ჩუბაის-ბურჯანაძის შეხვედრამ გამოიწვია, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე "რაოს" ხელმძღვანელს "თელასის" აქციების ნაწილის ქართული მხარისათვის დატოვების მექანიზმებზე ესაუბრა. როგორც გიგი წერეთელი აცხადებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჩუბაისთან შეხვედრისას გაარკვია, რომ "რაოს" ხელმძღვანელთან "თელასის" აქციების ნაწილის საქართველოს განკარგულებაში დარჩენის თაობაზე დღემდე არავის არაფერი უთქვამს. **"ჩვენდა გასაოცრად, ჩუბაისმა ჩვენი მხრიდან ამ საკითხის წამოწევა ცუდად არ მიიღო,"** – აცხადებს ვიცე-სპიკერი. **"არ გამოვრიცხავ, რომ "რაოსთან" ჩვენი მთავრობის კაბალური გარიგების მიღმა, შესაძლოა არაპროფესიონალიზმი, ან დიდი დონის კორუფცია იდგეს. ახლა კი შეიძლება "რაოსთან" დავიწყოთ მოლაპარაკებები, რომ "თელასი" მთლიანად რუსეთის ხელში არ იყოს,"** – განუცხადა გიგი წერეთელმა "24 საათს".

იურიდიულად, "ეი-ი-ესის" უფლებამონაცვლე "რაო ეეს როსსიიმ" ის ვალდებულებები უნდა შეასრულოს, რაც საქართველოსა და "ეი-ი-ეს სილკ როუდ ბი ვის" შორის 1998 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაში იგულისხმება. სანაცვლოდ, ამერიკელი ინვესტორის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება ქართულმა მხარემაც უნდა იკისროს.

ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი პრეზიდენტია

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის თავმჯდომარეს გამოსვლა რამდენჯერმე, ნახევრად ირონიული შენიშვნებით შეაწყვეტინა, ბოლოს კი ხმასაც საკმაოდ აუწია.

ედუარდ შევარდნაძემ, პირველ რიგში, ყაჩაღობა უწოდა ამერიკული კომპანიის მოქმედებას და მთავრობა "შეიცოდა": **"ეი-ი-ეს თელასმა" საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე მოულოდნელად აწარმოა მოლაპარაკება რუსეთის კომპანია "რაო"-სთან და თავისი წილი მიჰყიდა. მთავრობა აღმოჩნდა ფაქტის წინაშე"** (ორიოდე საათის შემდეგ თბილისში ჩამოსული ჩუბაისი იტყვის, რომ საქართველოს მთავრობას მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია თავიდანვე ჰქონდა).

"მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა "გაზპრომთან" გაზის შემოტანაზე, რადგან "იტერას" არხები გადაკეტილი აქვს და ქვეყნისათვის საჭირო გაზს ვერ შემოიტანდა. ამჟამად საქართველოსათვის ელექტროენერგიის მიღების ერთადერთი წყარო რუსეთია, ხოლო რა პირობებით და რა რაოდენობით ელექტროენერგიის მიღება მოხდება მომავალში, ამას რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებები აჩვენებს," – ვითომც არაფერი, საქართველოს პრეზიდენტი ისე ასახელებს ელექტროენერგიის მომწოდებელ ერთადერთ ქვეყანას – რუსეთს, თან ჩვეული ირონიით, "არაინფორმირებულ დეპუტატებს" ორშაბათის ტრადიციული რადიოინტერვიუს წაკითხვას ურჩევს, სადაც ყველა კითხვაზე არის პასუხი გაცემული.

ნინო ბურჯანაძემ შეპასუხება სცადა და პრეზიდენტს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება შეახსენა სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით, სადაც, მისი თქმით, ერთმნიშვნელოვნადაა მითითებული, რომ, როცა მთავრობა მოლაპარაკებას სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებთან დაკავშირებით აწარმოებს, პარლამენტი ინფორმირებული უნდა იყოს.

"ისეთ მტკივნეულ საკითხზე, როგორიც ენერგეტიკაა, მთავრობა არ უნდა იღებდეს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, მოსახლეობისათვის მთავარია, ელექტროენერგია ჰქონდეს, მაგრამ ისიც პრინციპული საკითხია, რომ იცოდეს, რის ფასად აქვს ეს ენერგია," - თქვა მან, რითიც ედუარდ შევარდნაძე წყობიდან გამოიყვანა:

"გვაცალეთ!" – კარგად ნაცნობ სიტყვას უცერემონიობით ამბობს საქართველოს პრეზიდენტი და სიტუაციის ბატონ-პატრონის, ქვეყნის ერთპიროვნული მმართველის ტონით "ადგილს უჩენს" საკანონმდებლო ხელისუფლებას: **"ქვეყნის ენერგომომარაგება ჩვენი პრეროგატივაა. მე თქვენზე მეტი გამოცდილება მაქვს და ვიცი, რომ, როცა ზამთარი მოვა და ელექტროენერგია და გაზი არ იქნება, ჩვენსკენ გამოიშვერთ ხელს... ამიტომ გვაცალეთ... როცა დამთავრდება მოლაპარაკებები "გაზპრომთან" და "რაოს"-თან, სახელმწიფო მინისტრი პარლამენტს ანგარიშს ჩააბარებს. მერე შეგიძლიათ იმპიჩმენტი მოითხოვოთ, თქვენ გაქვთ ამის ბერკეტები."** შევარდნაძე გამოეხმაურა ბეიკერის ვარიანტის თემასაც და ბეჭედიც დასვა - პარლამენტმა სწორედ ეს ვარიანტი მიიღო. **"ნუ მიაყენებთ შეურაცხყოფას საქართველოს პარლამენტის წევრებს იმით, რომ მთავრობას, პრეზიდენტს მათ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება სთხოვოთ..."** – ისევ არა როგორც ბლოკის ხელმძღვანელი, არამედ როგორც ქვეყნის პრეზიდენტი პასუხობს ნინო ბურჯანაძეს ქვეყნის პირველი პირი და ირონიულად დასძენს: **"ისე, სხვა საკითხებიც საინტერესოა ჩვენს დღის წესრიგში..."**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სიტყვებით – **"არ ვაპირებ, ჩავერიო მთავრობის მუშაობაში"** – მთავრობის სხდომას ტოვებს. სხდომიდან გამოსული, იგი აცხადებს, რომ ბევრად უკეთესი წარმოდგენისაა საქართველოს მოსახლეობაზე, ვიდრე ხელისუფლება, რადგან ფიქრობს, რომ აფხაზეთ და სამაჩაბლოგამოვლილი მოსახლეობისთვის სულ ერთი არ არის, ექნებათ თუ არა ენერგია ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარჯზე. აქვე ის ამბობს, რომ არ აპირებს გადადგომას და შეეცდება, თავმჯდომარის ტრიბუნა საკუთარი პოზიციის გასატანად და გასახმოვანებლად კიდევ გამოიყენოს.

ახალი მინისტრი უკანონო მშენებლობასთან ბრძოლას იწყებს

სოფო კვინტრაძე

მშენებლობისა და ურბანიზაციის ახლად დანიშნული მინისტრი თეიმურაზ ჩარკვიანი სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა ასწრაფოდ გასატარებელ ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პირველ რიგში, სამინისტროში სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს. თეიმურაზ ჩარკვიანი, შტატების შემცირების გზით, თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდას გეგმავს. ამას გარდა, ჩარკვიანი აცხადებს, რომ სასწრაფოდ უნდა შევიდეს ცვლილება კანონში "სამშენებლო საქმიანობის არქიტექტორული ზედამხედველობის შესახებ", რომლის თანახმადაც "არქმშენინსპექციას" უფლებები გაეზრდება. როგორც ცნობილია, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, "არქმშენინსპექციას" უკანონო მშენებლობის აღმოჩენის შემთხვევაში მხოლოდ დაჯარიმება შეუძლია, ხოლო მშენებლობის შეჩერებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო. მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო მოითხოვს, "არქმშენინსპექციას" უკანონო მშენებლობის შეჩერების უფლებაც მიეცეს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც გუშინდელ შეხვედრაზე ისაუბრეს, მშენებლობაზე ფიქსირებული გადასახადის შემოღებაა. თეიმურაზ ჩარკვიანის განცხადებით, ფინანსთა სამინისტროს უკვე მომზადებული აქვს თავისი ვარიანტი ფიქსირებული გადასახადის შესახებ, კერძოდ, ერთ კვადრატულ მეტრზე 85 ლარის ოდენობით. მინისტრი აცხადებს, ეს ციფრი რეალურ გათვლებს არ შეესაბამება და ძალიან მაღალია. ჩარკვიანის თქმით, ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ზუსტი ციფრის დადგენაზე, სავარაუდოდ, მშენებლობისა და ურბნიზაციის სამინისტროს ვარიანტით ფიქსირებული გადასახადი ერთ კვადრატულ მეტრზე 25-30 ლარი იქნება.

მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი თეიმურაზ ჩარკვიანი პრეზიდენტმა ამ თანამდებობაზე ორი კვირის წინ დანიშნა. მანამდე იგი სამშენებლო კომპანია "თბილისს" ხელმძღვანელობდა, რომელიც ელიას მთაზე სამების ტაძარს აშენებს. "თბილისს" 3600-ზე მეტი ობიექტი აქვს აშენებული, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში მდებარე ეკლესია, გარდაბნის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია, ქობულეთის თბოელექტროსადგური და სხვ.

"საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობა ქვეყნის პრიორიტეტია"

უკანასკნელ ხანს გახშირდა მცდელობები სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით საგზაო ფონდის შემოსავლების შემცირებისა ან მიმართვისა არადანიშნულებით, რასაც კატეგორიულად კრძალავს საქართველოს კანონი საგზაო ფონდის შესახებ. ასე მაგალითად, 2001 წლის 1 იანვრიდან შემცირდა ისედაც ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით მიზერული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი, 2003 წლის 6 იანვრის შესწორებით გაუქმდა სამედიცინო დანესებულებების გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის. ყოველწლიურად საავტომობილო ბენზინზე დანესებული აქციზური გადასახადის 70 პროცენტი, ხოლო დიზელის საწვავზე დანესებული აქციზური გადასახადი - მთლიანად მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. დაწყებული 1999 წლიდან ბენზინის აქციზით მიღებული შემოსავლების საგზაო ფონდის კუთვნილი 30 პროცენტიდან ცენტრალურ ბიუჯეტში უკანონოდ მიიმართა 3.3 მლნ. ლარი და ეს პრაქტიკა დღესაც გრძელდება. ამას ემატება საბაჟო დეპარტამენტის მიერ საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმების პერმანენტული შეუსრულებლობა.

შედეგად, ისედაც მოთხოვნილების 7-8 პროცენტის დონეზე დაფინანსებულმა საავტომობილო გზების ქსელის დიდმა ნაწილმა უკვე ამოწურა რესურსი და ჩაკეტვის ზღვარზეა, რადგან ვერ უზრუნველყოფს ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას.

ასეთ პირობებში ქ. თბილისის მერია აყენებს საკითხს საგზაო ფონდის შემოსავლების ნაწილის მიმართვის შესახებ ქ. თბილისის ქუჩების რეაბილიტაციაზე.

"დაგვეთანხმებით ძნელია რიგითობით მიუდგეთ საქართველოში რეალურად არსებულ პრობლემათა სპექტრს და განაცხადო: - აი, აქედან დავიწყოთ". აცხადებს ქ. თბილისის მერი ბატონი ვანო ზოდელავა მ/. წ. 31 ივლისს გაზეთებში გამოქვეყნებულ მიმართვაში საქართველოს პარლამენტისადმი. მთლიანად ვეთანხმები დედაქალაქის მერის განცხადებას, რადგან რიგითობის დადგენა საქართველოს დღევანდელობის იმ უდავოდ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტაში, რასაც საქართველოს ეროვნული მეურნეობის, საქართველოს თითოეული მოქალაქის ავტოსატრანსპორტო კომუნიკაციებით უზრუნველყოფა ჰქვია, მართლაც ძნელია და დაუშვებელიც არის.

ვინ ვინ და ჩვენ, საქართველოს მეგზურებმა და პირველ რიგში ჩვენმა ხელმძღვანელმა ბატონმა ბორის სარალიძემ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ქალაქის თავი გახლდათ, მშვენივრად ვიცით, რომ ქ. თბილისის ქუჩების მოვლა-შენახვისათვის ქ. თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები სრულიად არასაკმარისია თბილისის ქუჩების ისეთ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, როგორც ქვეყნის დედაქალაქს ეკადრება, მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კავკასიონის მკაცრ ბუნებრივ-კლიმატურ და რთულ რელიეფურ პირობებში, პერმანენტულად განმეორებადი წყალდიდობების, მეწყრული მოვლენების, ზვავების, დიდთოვლობისა და სხვა სტიქიური მოვლენების გამო, სხვადასხვა სახის რთული საინჟინრო ნაგებობების სიმრავლის პირობებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების თითოეული კილომეტრის განვლადობის შენარჩუნება შეუდარებლად დიდ დანახარჯებს მოითხოვს. საქართველოს იმ მოსახლეობას კი, ვინც მაღალმთიან, დაბლობ, განვითარებულ, თუ შედარებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში თუ რაიონებში ცხოვრობს, ისევე როგორც ქ. თბილისის მოსახლეობას, თუ უფრო მეტადაც არა, ესაჭიროებათ გზა ქვეყნის საერთო სასიცოცხლო პროცესებში ჩასართავად.

საქართველოს რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება რომ ჰქონდეს ნორმალური ავტოსატრანსპორტო კავშირებისა ერთმანეთთან და ქვეყნის სამრეწველო თუ სხვა ცენტრებთან, რაც დაგვერწმუნებინოთ, საფუძველია სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, სხვა სფეროების განვითარებისა სოფლად, მაშინ ასეთი მასიური ხასიათი არ ექნებოდა რაიონების მოსახლეობის მიგრაციას დედაქალაქში და თავისუფლად ამოისუნთქავდა რაიონების მოსახლეობაც და ქვეყნის დედაქალაქიც.

ეხლა რაც შეეხება თვით საკითხის არსს. კანონი საქართველოში საგზაო ფონდის შესახებ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ორწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად და საქართველოს პრეზიდენტის უდიდესი დახმარებითა და მხარდაჭერით მიღებულ იქნა 1995 წელს როგორც იძულებითი, საქართველოსათვის ახალი და არაორდინალური ზომა, რომელიც ეყრდნობოდა და სრულად ითვალისწინებდა საერთაშორისო გამოცდილებას და მოწოდებული იყო გადაერჩინა სრული განადგურებისაგან საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები და ამით შექმნა უპირველესი და აუცილებელი პირობა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისა. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები ეს ის გზებია, რომლებიც საქართველოს აერთებს უცხო ქვეყნებთან, ქალაქისა და რაიონების ცენტრებს აერთებს ერთმანეთთან და სამრეწველო, კულტურულ თუ სხვა ცენტრებთან, სოფლებს აერთებს რაიონების ცენტრებთან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არანაკლებ ცუდ მდგომარეობაშია საქართველოს ნებისმიერი ქალაქისა თუ რაიონული ცენტრის ქუჩები და თუ თითოეულმა ადგილობრივი მმართველობის ორგანომ დააყენა საკითხი მის ტერიტორიაზე აკრეფილი საგზაო ფონდის შემოსავლების მიმართვის შესახებ ამ ქალაქის ან რაიონული ცენტრის ქუჩების კეთილმოსაწყობად, მაშინ საერთოდ დაირღვევა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების საგზაო ფონდის მეშვეობით დაფინანსების მსოფლიოში მიღებული პრინციპი და ეს გზები საერთოდ დაფინანსების გარეშე დარჩება.

საქართველოს პარლამენტის წევრებმა, განსაკუთრებით მაჟორიტარებმა, რომლებსაც კარგად ესმით ქვეყნის ავტოსატრანსპორტო კომუნიკაციების გამართული მუშაობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის, არა ერთხელ მიმართეს წერილებით ქვეყნის პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს საგზაო ფონდის შემოსავლების ზრდის აუცილებლობის შესახებ. ამასვე მოითხოვს მსოფლიო ბანკი, რომლის დახმარება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის საქმეში ძნელია ზედმეტად შეფასდეს და რომელმაც, შეისწავლა რა ზედმინევნით საქართველოს გზების მდგომარეობა, კრედიტის გამოყოფისას სპეციალურად გაითვალისწინა სახსრები საგზაო ფონდის შესახებ კანონის ახლებურად გადამუშავებისათვის მისი შემოსავლების ზრდის მიზნით.

მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ჯგუფის დირექტორის ქალბატონ ჯუდი ოკონორის 2002 წლის 13 თებერვალის საქართველოს სახელმწიფო მინისტრისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: "საქართველოს კომერციული საქმიანობის სასიცოცხლო არტერიის-საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ქსელის მოვლა-შენახვა ქვეყნის განვითარების სფეროთა შორის განსაკუთრებული პრიორიტეტით უნდა სარგებლობდეს. ამის გათვალისწინებით მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ შეძლებთ გამონახოთ საშუალება, რათა საქართველოს მთავრობამ შეასრულოს საკრედიტო ხელშეკრულების პირობა". საკრედიტო ხელშეკრულების პირობა კი ითვალისწინებს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის დაფინანსების ზრდას ქვეყნის ბიუჯეტის საერთო შემოსავლების ზრდის პროპორციულად, რასაც საგზაო ფონდის შემოსავლები, დაწყებული 1999 წლიდან, უკვე 62,6 მლნ. ლარით ჩამორჩა.

ასეთ პირობებში ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეამცირებს საგზაო ფონდის შემოსავლებს, ანუ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის დაფინანსების მოცულობებს, უაღრესად ნეგატიურად აისახება პირველ რიგში ეროვნული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანისაკენ მიმართულ ყველა მცდელობაზე და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მსოფლიო ბანკის კეთილგანწყობაზე ქვეყნის მიმართ საგზაო დარგის ნაწილში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მსოფლიო ბანკის მორიგი კრედიტის გამოყოფაზე უკვე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციისათვის განსხვავებით ამჟამინდელი კრედიტისაგან, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციაზე არის მიმართული და რომლის მეშვეობით საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა და ტარდება დღესაც. წინა საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცხადია ეჭვის ქვეშ დადგება ახალი კრედიტის გამოყოფაც.

ორიოდე სიტყვით 2003 წელს შექმნილი მდგომარეობის შესახებ: 6 თვის მონაცემებით საბაჟო დეპარტამენტმა გაარღვია საგზაო ფონდის შემოსავლების გეგმა 4.8 მლნ. ლარით. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ბანკის კრედიტის თანადაფინანსების შეფერხება ყოველად დაუშვებელია და გამოიწვევს კრედიტის ხარჯზე მიმდინარე რეაბილიტაციის პროექტის შეჩერებას მსოფლიო ბანკის მიერ, წლის მეორე ნახევარში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისათვის სულ რჩება 2,0 მლნ. ლარი, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს მხოლოდ ზამთრის შენახვის სამუშაოების შესრულებას. აქედან გამომდინარე საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მიმდინარე წლის 30 ივლისის N05-07/544 წერილით ამჟამად გზებზე შეჩერებულია ყოველგვარი სამუშაოები. გაუგებარია რა სახსრების გატანას აპირებს თბილისის მერია საგზაო ფონდიდან ქ. თბილისის ქუჩების რეაბილიტაციისათვის.

რაც შეეხება სატრანზიტო მოძრაობას, ამისათვის არსებობს ქ. თბილისის შემოსავლელი გზა რომელიც შეიძლება არ ხასიათდება მაღალი საექსპლუატაციო მაჩვენებლებით, მაგრამ უზრუნველყოფს ტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო მოძრაობას და ქალაქის მერიის მიერ გარკვეული ორგანიზაციული ზომების განხორციელების შემთხვევაში ქალაქის ქუჩები შეიძლება მნიშვნელოვნად განიტირთვოს სატრანზიტო მოძრაობისაგან.

კიდევ ერთხელ გვინდა დავეთანხმოთ ქალაქის მერს იმაში, რომ თბილისის ქუჩების მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ ყურადღებას და გადამჭრელი ზომების მიღებას, მაგრამ სამწუხაროდ საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტს არ გააჩნია საშუალება რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების გაწევისა, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არ ჩავთვალეთ შესაძლებლად მერიის თხოვნის უყურადღებოდ დატოვება და განვაცხადეთ თანხმობა სათანადო საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში გადავცეთ მას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადით ქ. თბილისში მიღებული შემოსავლების 50 პროცენტი.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრი.

საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა და რუსეთის ხელისუფლებასთან კონსულტაციებიც ჰქონია

"ექსპრესი" მოსკოვში "რაო ეეს როსსიის" საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ანდრეი ეგოროვს დაუკავშირდა:

- "რაო ეესმა" "თელასი" მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ბიზნესის განვითარების მიზნით იყიდა. პრესაში გავრცელებული ინფორმაცით, ჩვენი კომპანია 200-მილიონიანი ინვესტიციის მოზიდვას აპირებს, საამისოდ აქციათა ნაწილის გაყიდვასაც კი ვგეგმავთ, მაგრამ ამას ის დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენ უუნარონი ვართ და ფინანსურ სირთულეებს განვიცდით. ჩვენ ვყიდით იმას, რაც ბიზნესისთვის არ გვჭირდება, კერძოდ, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს და სხვა ასეთ ობიექტებს. ერთი სიტყვით, ვყიდით იმას, რაც ბიზნესის განვითარებას არ შეაფერხებს. სამაგიეროდ ვყიდულობთ იმ ობიექტებს, რომლებიც კომპანიის განვითარებას შეუწყობს ხელს და რამაც სერიოზული მოგება უნდა მოუტანოს მას. ის ობიექტები, რომლებსაც საქართველოში ვყიდულობთ, ჩვენი ბიზნესის პროფილია. გენერაცია სწორედ ის არის, რითაც ჩვენ დაკავებული ვართ, - განაცხადა ანდრეი ეგოროვმა.

ეგოროვმა მთლიანად გამორიცხა ის, რომ შესაძლოა, "რაო ეესის" საქართველოში შემოსვლას პოლიტიკური მიზნები ჰქონდეს. მან დაუფარავად განაცხადა, რომ ამერიკული კომპანიისგან "სარფიანი" წინადადება 2003 წლის დასაწყისში მიიღეს. იმასთან დაკავშირებით, იცოდა თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკელების და რუსების შეთანხმების შესახებ, ეგოროვმა ცალსახად გვიპასუხა, რომ ამ ბიზნესს ისინი არც საქართველოს ხელისუფლებისგან ყიდულობდნენ და არც საქართველოს რომელიმე ორგანიზაციისაგან.

- თუ ამერიკული კომპანიის წარმომადგენლის ნათქვამს დავუჯერებთ, მათ ამის შესახებ

ამერიკის ელჩმა თბილისის მერიას გზების შესაკეთებელი ტექნიკა აჩუქა

გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ მაილსმა თბილისის მერს ვანო ზოდელავას გზების შესაკეთებლად სპეციალური ტექნიკა გადასცა. ეს ტექნიკა საშუალებას მისცემს მუშებს, გზების შეკეთება ღამის საათებშიც წარმართონ.

ელჩმა შეხვედრისას იმედი გამოთქვა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტი ეფექტურად გამოიყენებს ამერიკელთა საჩუქარს თბილისის გზების გასარემონტებლად.

მაილსის განცხადებით, თბილისის მერიასა და ამერიკის საელჩოს შორის ყოველთვის კეთილმეგობრული ურთიერთობა იყო, კარგი მეზობლები კი ყოველთვის ცდილობენ, ერთმანეთს დაეხმარონ. მაილსის განცხადებით, ამერიკელები ყოველთვის მეგობრულად იყვნენ განწყობილნი საქართველოს მიმართ და ეს მეგობრობა კვლავაც გაგრძელდება.

თავის მხრივ, ვანო ზოდელავამ რიჩარდ მაილსს აღუთქვა, რომ დიღმის მასივში ამერიკის საელჩოს შენობის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება და მასში მონაწილეობას თბილისის მერია მიიღებს.

24 საათი

პოლიცია დამნაშავეობასთან გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებით იმუქრება

თბილისში დამნაშავეთა სამყაროსთან გადამწყვეტი ბრძოლა გამოცხადდა. როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში ირწმუნებიან, სწორედ ეს გახლავთ იმ გეგმის მიზანი, რომელსაც დედაქალაქის შერიფმა ახლახან მოაწერა ხელი. ამ გეგმის ნაწილი გახლავთ თბილისის ქუჩებში პოლიციელთა ეგრეთ წოდებული "რეიდების" თვალშისაცემად მომატებაც. ამასთან, როგორც შევიტყვეთ, ამ საგანგებო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციაც, რაც იძლევა იმ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, რომ განსაკუთრებული ყურადღება დამრღვევ და დამნაშავე პოლიციელების გამოვლენაზე იქნება გადატანილი. თუმცა, როგორც თბილისის პოლიციის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა კახა ბარაბაძემ განაცხადა, **"თბილისის მასშტაბით ოპერატიულ-საგამოძიებო და ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები დღეს და გუშინ არ დაწყებულა და უახლოეს მომავალში არც მათი დასრულებაა მოსალოდნელი. ამ ღონისძიებების მიზანია დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა, მათი გამოვლენა, დადგენა, დაკავება, ყველა მიმართულებით, ეს ეხება ყველა ჯურის დამნაშავეს. განსაკუთრებით კი მათი ყურადღება მიმართული იქნება იმისაკენ, რომ დაცული იქნეს მოქალაქეთა უსაფრთხოება. ეს იქნება განსაკუთრებული ბრძოლა დამნაშავეთა წინააღმდეგ."**

დღეისათვის თბილისელი სამართალდამცველები სამარშრუტო ტაქსების დამყაჩაღებელი ორი ორგანიზებული ჯგუფის წევრების დაკავებით იწონებენ თავს.

დუშელ ზურაბ ზურაბაშვილს პოლიცია, უკვე რამდენიმე თვეა, მას შემდეგ ეძებს, რაც იგი გაზაფხულზე თბილისის N1 საგამოძიებო იზოლატორიდან გაიქცა. მას შემდეგ ზურაბაშვილმა რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენა მოასწრო, რომელთაგან ერთის – სამარშრუტო ტაქსის მძღოლის მკვლელობის შესახებ, საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული. მეტიც, ცოტა ხნის წინათ, N95 სამარშრუტო ტაქსის მძღოლებმა საპროტესტო აქციაც კი მოაწყვეს და პოლიციისგან ამ მკვლელობის სასწრაფოდ გამოძიებას და მოძალადეთაგან მათი და მათი მგზავრების დაცვას ითხოვდნენ.

მკვლელობა 28 ივნისს, ღამით მოხდა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, პისტოლეტით შეიარაღებული ზურაბაშვილი, თანამზრახველთან ერთად (მას ჯერ კიდევ ეძებენ), თავს დაესხა N95 სამარშრუტო ტაქსში მსხდომ მგზავრებს. მაგრამ ყაჩაღები მძღოლის - გოჩა ნიკოლაძის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ზურაბაშვილმა ურჩ მძღოლს პისტოლეტიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. შემდგომ მგზავრებს გასტაცეს ფული, ძვირფასეულობა, პირადი ნივთები და მიიმალნენ.

პოლიციამ ზურაბაშვილს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისის მე-5 კლინიკურ, ე.წ. "მიხაილოვის" საავადმყოფოში მიაგნო. იგი იქ ხერხემლის ტრავმის გამო სტაციონარული მკურნალობის კურსს გადიოდა, ოღონდ შეცვლილი სახელითა და გვარით.

სამართალდამცველები ახლა მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამოვლენაზე მუშაობენ.

ასევე სამარშრუტო ტაქსების დაყაჩაღების გამო არიან დაკავებულნი თბილისელი ჯუმბერ ბლიაძე, რუსთაველი, ადრე ნასამართლევი ლევან კორკოტაშვილი და წყნეთელები - დავით მეგრელაძე და ვახტანგ ჯავახიშვილი. ამ ჯგუფის ანგარიშზე არაერთი ყაჩაღობაა. ისინი, ძირითადად, ვაკე-საბურთალოს რაიონში მოქმედებდნენ პოლიციისთვის ჯერ-ჯერობით მათ მიერ ჩადენილი ყაჩაღობის ოთხი ფაქტია ცნობილი. ოთხივე სამარშრუტო ტაქსების მგზავრთა დანების მუქარით გაძარცვა გახლავთ.

თუმცა, პოლიციაში დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ჯგუფზე სხვა არაერთი დანაშაული მოღის და ახლა მუშაობას ამ მიმართულებით აგრძელებენ.

ქართველი კრიმინალისტები თითის ანაბეჭდების კომპიუტერულ დამუშავებას სწავლობენ

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტები თორმეტ ქართველ კოლეგას, მათ შორის იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს ექსპერტებს ტრეინინგ-სემინარს უტარებენ. ტრეინინგ-სემინარის მესამე ეტაპზე ექსპერტებს თითის ანაბეჭდების კომპიუტერული დამუშავების ტექნოლოგიას შეასწავლიან. ღონისძიება აშშ-სა და საქართველოს მთავრობათა შორის შეთანხმების საფუძველზე, საქართველოში საერთაშორისო კრიმინალის გამოძიების ასისტირების პროგრამის ფარგლებში ტარდება. პროგრამის წინა ეტაპებზე ამერიკელმა კოლეგებმა ქართველ ექსპერტებს დაქტილობარათებთან მუშაობა და თითის ანაბეჭდების ბარათზე გადატანა ასწავლეს. ამჟამად უკვე აღებულია თითის ანაბეჭდი 1000-ზე მეტი პატიმრისაგან, რომელთაც ექსპერტები კომპიუტერში ტრეინინგის დასრულების შემდეგ შეიტანენ.

თითების ანაბეჭდების პროგრამის განხორციელება ერთი წლის წინ დაიწყო. იუსტიციის მინისტრის მოადგილისა და ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ირინა იმერლიშვილის თქმით, **„თითის ანაბეჭდების კომპიუტერული ბანკის შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლას. თითის ანაბეჭდების ბანკი პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი იქნება. მასში შევა არა მარტო პატიმრებისა და მსჯავრდებულების, არამედ იმ სამართალდამცველების თითის ანაბეჭდებიც, რომელთაც შემთხვევის ადგილზე უწევთ ყოფნა."**

ირინა იმერლიშვილის ინფორმაციით, მომავალ კვირას კრიმინალისტური ლაბორატორიის პროექტის განხორციელებაზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორის ვიზიტი იგეგმება, რომლის ფარგლებში შედგება მისი შეხვედრა იუსტიციის მინისტრთან როლანდ გილიგაშვილთან. შეხვედრაზე დაიგეგმება პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტები და შემდგომი სამუშაო თემები ჩამოყალიბდება.

ტრეინინგების მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ ქართველ ექსპერტებს საზეიმოდ გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები.

მედია-ნიუსი

შემოდგომაზე ადვოკატთა გამოცდების ჩატარება იგეგმება

ადვოკატების გამოცდები, რომლის ორგანიზატორი საქართველოს იუსტიციის საბჭოა, სავარაუდოდ, წელს შემოდგომაზე ჩატარდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის განკარგულების ტექსტი იუსტიციის საბჭომ უკვე მოამზადა, მაგრამ პრეზიდენტ შევარდნაძეს, ჯერჯერობით, ხელი არ მოუწერია.

განკარგულების თანახმად, გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთებს იუსტიციის საბჭო სექტემბერ-ოქტომბერში მიიღებს, ხოლო გამოცდა ნოემბერში ჩატარდება. თუმცა, განკარგულების ხელმოწერამდე ეს თარიღები დამტკიცებული არ არის.

ადვოკატების ტესტირების ჩატარებისთვის იუსტიციის საბჭო 2001 წლიდან მუშაობს, რაშიც მას ფინანსურ მხარდაჭერას ამერიკის იურისტთა ასოციაცია უწევს. შარშან უკვე შედგენილი და დაბეჭდილი იყო ყველა ტესტი, დაინიშნა გამოცდის თარიღიც, თუმცა შარშან მაისში, ადვოკატთა კოლეგიის მოთხოვნით ტესტირების ვადა ერთი წლით გადაიდო. გამოცდების გადადების ძირითადი მიზეზი ტესტირების მიმართ ადვოკატთა პროტესტი გახდა. მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ადვოკატურა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ორგანოა და ადვოკატთა ტესტირება სახელმწიფო სტრუქტურისაგან დაუშვებელია.

მედია-ნიუსი

ავიატორები არმაზ თავაძეს უცხოელების ლობირებაში ადანაშაულებენ

სოფიკო ოხანაშვილი

ალბერტ ნურბეკიანს ავიატორების პენსიები აინტერესებს.

ფოტო გელა გელაშვილის

საქართველოს მფრინავთა ასოციაცია და საქართველოს ავიასპეციალისტთა პროფკავშირები ანტიმონოპოლიური სამსახურის სამოქალაქო ავიაციის ბაზრის შესწავლის შედეგად მომზადებულ დასკვნას აპროტესტებს, რომელშიც ავიაკომპანია "აირზენა საქართველოს ავიახაზებს" მონოპოლისტის "ტიტული" მიენიჭა. ამასთანავე, ავიატორები ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელს არმაზ თავაძეს უცხოური ავიაკომპანიების ლობირებაში, ასეთი მოქმედებით კი, ქვეყნიდან მილიონობით ლარის გადინების ხელშეწყობაშიც ადანაშაულებენ. შეცდომის გამოსასწორებლად საქართველოს მფრინავთა ასოციაცია და საქართველოს ავიასპეციალისტთა პროფკავშირების ხელმძღვანელები თავაძეს ათი დღის ვადას აძლევენ. თუ ათი დღის განმავლობაში ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელმძღვანელი ქვეყნის პრეზიდენტს ოფიციალურ წერილს არ გაუგზავნის, სადაც თვითონვე უარყოფს მისი სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტს და არ აღიარებს, რომ პრეზიდენტს ქვეყნის ავიაბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, დეზინფორმაციის შეგნებულად გავრცელების საფუძველზე, საქართველოს მფრინავთა ასოციაცია და საქართველოს ავიასპეციალისტთა პროფკავშირები თავაძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანენ.

საქართველოს მფრინავთა ასოციაციის პრეზიდენტის ალბერტ ნურბეკიანის განცხადებით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ სწორედ ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე დაუმსახურებლად და ნეგატიურად შეაფასა ავიაკომპანია "აირზენა საქართველოს ავიახაზების" მოღვაწეობა. საქართველოს მფრინავთა ასოციაციის პრეზიდენტის ალბერტ ნურბეკიანის თქმით, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი უცხოური ავიაკომპანიების ლობირებით ხელს უწყობს საქართველოდან მილიონობით ლარის გადინებას და ერთიანი ავიაკომპანიის "აირზენას" ჩაძირვას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს, პირველ რიგში კი, ავიატორთა საპენსიო ფონდს აზარალებს. **"კანონით რომ მოქმედებდნენ, ჩვენ არაფერს არ ვიტყვით, აქ კი ყველა ნაბიჯზე კანონის დარღვევასთან და ტყუილთან გვაქვს საქმე"**, - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნურბეკიანმა.

დაატოვებინებენ თუ არა ფრაქციას „ლეიბორისტის" თავმჯდომარეს საკრებულოს

თამარ კაციტაძე

საქართველოში ნებისმიერი არჩევნების პირველი ქვაკუთხედი საარჩევნო კანონმდებლობაა. თუმცა, იმ კანონის დამორჩილება თუ დაცვა, რომლის მიღებაც არჩევნებში მონაწილეობის თითოეულ კანდიდატს თითქმის სისხლის ფასად უჯდება, როგორც ჩანს, ყველასთვის "სავალდებულო" არ არის.

რამდენიმე დღის წინ საკრებულოსთან არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭომ" მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს მიმართა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ განკარგულების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც 2002 წლის 2 ივლისის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დამტკიცდა და პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატები არჩეულად ჩაითვალა.

საბჭოს თავმჯდომარის მზია ალავიძის მტკიცებით, აღნიშნული აქტი იმ ნაწილში, სადაც საკრებულოს "ლეიბორისტული" ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გუგავა არჩეულად ჩაითვალა, ეწინააღმდეგება კანონს. საქმე ის არის, რომ გუგავა არჩევნებში პარტიული სიის წარდგენისას რეგისტრირებული იყო თბილისში, ხოლო კენჭისყრისთვის იგი უკვე რეგისტრაციიდან მოხსნეს. არადა, "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" თანახმად, "ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც კანონის დადგენილი წესით რეგისტრირებულია შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე".

"ცენტრალური საარჩევნო კომისია კანდიდატთა რეგისტრაციის დროს ვალდებულია, გადაამოწმოს, საკრებულოს დეპუტატობის მსურველნი რამდენად აკმაყოფილებენ კანონმდებლობას. მაგრამ, როგორც უკვე დავრწმუნდით, საკრებულოს არჩევნებისას ასე არ მოხდა. უფრო მეტიც, როდესაც მოვითხოვეთ ინფორმაცია, იყვნენ თუ არა გუგავა და საკრებულოს სხვა წევრები თბილისში რეგისტრირებულნი, მათ ეს მონაცემები საერთოდ არ აღმოაჩნდათ. არადა, ეს კანონის მოთხოვნათა მთავარი კრიტერიუმია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამომრჩევლები მოატყუეს და მათი უფლებები დაირღვა. ჩვენი ორგანიზაცია გუგავასადმი პირონვნულად უარყოფითად ნამდვილად არ არის განწყობილი, მაგრამ ჩვენი მიზანი კანონიერების აღდგენაა," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში საკრებულოსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" თავმჯდომარემ მზია ალავიძემ.

თავად გიორგი გუგავა მის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სარჩელს უსაფუძვლოს უწოდებს.

"ჩემს წინააღმდეგ სარჩელი არასამთავრობო ორგანიზაციამ კი არ შეიტანა, არამედ „ნაციონალურმა მოძრაობამ" და თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ. ეს ზოდელავა-სააკაშვილის ერთობლივი შეტევაა ჩემს წინააღმდეგ, რადგან მე ვერ ჩამითრიეს იმ კორუფციულ საქმიანობაში, რომელსაც მერია და საკრებულო ერთად ეწევა და ამიტომაც ააგორეს პროვოკაციათა ტალღა," – ასეთი კომენტარი გააკეთა საკრებულოს ფრაქცია "ლეიბორისტის" თავმჯდომარემ სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" სარჩელთან დაკავშირებით, ალბათ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ "ლეიბორისტული" ფრაქციის თავმჯდომარის კომენტარი მას და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის დაპირისპირების ახალი საბაბი გახდეს.

"დღევანდელი სარჩელი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში კანონები იქმნება არა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, არამედ მხოლოდ რიგითი ადამიანებისთვის. ასრულებს თუ არა ჩვენი ორგანიზაცია სააკაშვილ-ზოდელავას შეკვეთას, ამის დამტკიცება გუგავას სასამართლოში მოუწევს. ეს შეურაცხმყოფელი ბრალდებაა და უნდა დაგვიმტკიცონ. ამგვარი ბრალდებებით ზოგიერთს სურს, არასამთავრობო ორგანიზაციები შეაშინონ და დაიმორჩილონ. გუგავა განათლებით იურისტია და მინდა ვკითხო, იმ უკანონობაზე, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ, თვალები უნდა დაგვეხუჭა?" – ასეთია არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მზია ალავიძის პოზიცია.

სჭირდება თუ არა „აღორძინებას" მკვდარი ხელისუფლება?

"აღორძინება", საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებისათვის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სამი წევრი ისედაც საჩუქრად ეკუთვნოდა... ჩვენ "ტრადიციონალისტებისა" და "სახალხოსნოის" "ჟიგულის" ტიპის პარტიათა რიცხვში არ შევდივართ. ამ პარტიების წევრები ერთ "მარშრუტკაშიც" კი ჩაეტევიან. ამიტომ, ჩვენი მოთხოვნები სამართლიანი იყო... ნურვინ ნუ მიგვაწებებს მკვდარ ხელისუფლებას. გარდაცვლილი ხელისუფლება არავის სჭირდება", - ასეთი განცხადებებით იყო გაჯერებული ფრაქცია "აღორძინების" ლიდერის ჯემალ გოგიტიძის გუშინდელი პრესკონფერენცია. საპროცედურო ომში გამარჯვებული სახელისუფლებო ფრთის ერთ-ერთ აქტიურ მოკავშირეს - "აღორძინებას" დღეს უკვე შეუძლია, თამამად აკეთოს ასეთი პოლიტიკური განცხადებები. მით უფრო, რომ, ცნობილი აფორიზმისა არ იყოს, გამარჯვებულს არავინ განსჯის.

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ ჯემალ გოგიტიძემ დაწვრილებით ისაუბრა იმ შეთქმულებაზე, რომელსაც **"ერთობლივად გეგმავდნენ ხელისუფლება და ჟვანია-სააკაშვილი-გამყრელიძის გუნდი, რათა "აღორძინება" ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ შეეშვათ".**

ჯემალ გოგიტიძეს კონკრეტული სქემაც მოჰყავს, რომელმაც დაწვრილებით უნდა ახსნას ამ ფართომასშტაბიანი აფიორის რეალური არსი.

მაშ ასე: გოგიტიძის ვერსიით, ხელისუფლებას, რომელშიც ჟვანიაც შედის, სააკაშვილიცა და გამყრელიძეც, აქვს მილიონ 200 000 ყაღბი ბიულეტენი, ასევე ასი ათასობით ყაღბი პირადობის მოწმობა. ისინი აკონტროლებენ იმ სტამბებსაც, სადაც ბიულეტენები უნდა დაიბეჭდოს. ვის უნდა ეთქვა თეთრზე შავი ანუ ფალსიფიცირებულზე – ნამდვილიაო? იმ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც შევარდნაძეს, ჟვანიას, სააკაშვილსა და გამყრელიძეს სურდათ. სწორედ ამის გამო იკლავდნენ ისინი თავს, სწორედ ამიტომ სურდათ მათ კომისიაში ურეიტინგო "ტრადიციონალისტებისა" და აბსანძის პარტიის შეყვანა, რადგან მათ კვოტებს სწორედ ეს გუნდი გადაინაწილებდა. თანაც, გოგიტიძე გვახსენებს, რომ ხელისუფლების მიერ დადგმულ მთელ ამ აფიორას ერთადერთი მიზანი ჰქონდა – "აღორძინების" წინააღმდეგ ბრძოლა, რათა "ამ ყველაზე დემოკრატიულ პარტიას არჩევნებში სამართლიანი გამარჯვება ვერ მოეპოვებინა". "აღორძინებამ" კი ეს არ დაუშვა - იბრძოლა და გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, ჯემალ გოგიტიძემ კიდევ ერთხელ სცადა დაემტკიცებინა, რომ არანაირი გარიგება ხელისუფლებასა და "აღორძინებას" შორის არ ყოფილა. **"არავინ დაიჯერებს იმას, რომ აჭარის ავტონომიის მეთაური, "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ლიდერი ასლან აბაშიძე ცენტრალურ ხელისუფლებას რამეში გაურიგდა, ეს უსაფუძვლო მონაჭორია. "აღორძინებამ" აიძულა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომ დათმობაზე წასულიყო, რათა პარტიას 3 ადგილი მიეღო ცესკო-ში,"** – აცხადებს ფრაქციის ლიდერი.

ამის მიუხედავად, გუშინ ჯემალ გოგიტიძეს დამსწრე საზოგადოებისთვის არ აუხსნია, თუ რატომ დაემთხვა სახელისუფლებო ფრაქციების, "მრეწველთა" და "აღორძინების" ინტერესები და რატომ მისცეს გამახარიას მოდელს ხმა იმავე "მოქკავშირმა" და "აღორძინებამ" და არა, ვთქვათ, ჟვანიას გუნდმა.

სხვათა შორის, გუშინ ჯემალ გოგიტიძემ "დემოკრატებსა" და "ნაციონალებს" ისიც გაახსენა, რომ ისტორია ფაქტების გაყალბებას არავის პატორობს და არავის დაავიწყდება, თუ **"როგორ ჩასცეს ლახვარი ქართულ დემოკრატიას ამ ცხვრის ქურქში გამოწყობილმა გამყალბებლებმა, რომლებსაც დღეს თავი მამა აბრამის ბატკნებად მოაქვთ."**

ჯემალ გოგიტიძეს პრესკონფერენციაზე არც ჯუმბერ პატიაშვილი დავიწყებია. **"ერთობის" ლიდერი, რომელიც სამშაბათს პარლამენტის მიერ მიღებულ ვარიანტს ხელისუფლების კანონს უწოდებს, ჟვანიას ენით საუბრობს. "ერთობას" რაიონებში არ ჰყავს იმდენი წარმომადგენელი, რომ საარჩევნო საუბნო კომისიებში წევრები დაენიშნა და ჟვანიას მოღელის გასვლის შემთხვევაში, "ერთობის" ადგილებს სწორედ "გაერთიანებული დემოკრატები" გამოიყენებდნენ",** - ასე ფიქრობს "აღორძინების" ლიდერი.

და ბოლოს: "აღორძინება" ოთხშაბათს პარლამენტში "სპეციალური ეკონომიკური ზონების" შესახებ კანონპროექტს წარადგენს. **"ჩვენ გვსურს გამოვაჩინოთ იმათი სახე, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ ამ კანონპროექტს"**, – აცხადებს გოგიტიძე.

ერთი თვე - სწავლის დაწყებამდე

აგვისტო თანდათან ძალაში შედის, საგანმანათლებლო ობიექტების სარემონტო სამუშაოები კი ჯერაც არ დაწყებულა. დედაქალაქში სულ 206 სკოლა და 180 სკოლამდელი დაწესებულება ფუნქციონირებს და მათგან 122 რემონტს საჭიროებს. თბილისის მერიის სასკოლო მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის ზურაბ ქოჩიაშვილის განცხადებით, დღეისთვის დედაქალაქში მწვავე ავარიული საგანმანათლებლო ობიექტი არ არის, თუმცა კონსტრუქციულ-გამაგრებითი სამუშაოები, თითქმის, ყველა ობიექტს უნდა ჩაუტარდეს. მიუხედავად ამისა, ქოჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ სასწავლო პროცესის განახლებას საფრთხე სარემონტო სამუშაოების ჩაუტარებლობის შემთხვევაშიც კი არ ემუქრება.

მაკა ჯაიანი

სხვა აზრებს ბადებს №187 სკოლა. იგი დიდი დიღმის მეორე მიკრორაიონში 1989 წელს გაიხსნა; არსებობიდან 14 წლის თავზე კი დახურვის საშიშროების წინაშე დგას – გასულ წელს მომხდარმა მიწისძვრამ შენობა საფუძვლიანად დააზიანა. 14 წლის განმავლობაში სკოლას რემონტი ერთხელაც არ ჩატარებია; 2002 წლის აპრილიდან მისი ერთი ნაწილი სრულიად გამოუსადეგარია. დირექცია იძულებული გახდა, ორცვლიან სწავლებაზე გადასულიყო. ზამთარში უშუქობაში 30 წუთამდე შემცირებული გაკვეთილებიც კი 8-ის ნახევრამდე ვერ მთავრდებოდა.

"ხშირად მე-5 და მე-6 გაკვეთილებს აღარც ვატარებდით, - იხსენებს სასწავლო ნაწილის გამგე მაია კირვალიძე, - **როცა ძალიან ბნელდებოდა, ნაწერის გარჩევაც კი შეუძლებელი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ასეთი პრობლემები სასიამოვნო ვერც ერთი მშობლისთვის ვერ იქნება და ბევრმა ბავშვი სხვა სკოლაში გადაიყვანა. დღესაც დაურეკავთ მნესთვის, - როდის იქნებით, საბუთები რომ გავიტანოთო. თუ ასე გაგრძელდა, სექტემბრისთვის, შეიძლება, მოსწავლეთა საჭირო რაოდენობა აღარც გვეყოლოს და სკოლა დასახური გახდეს."**

სასწავლო პროცესის დაზიანებულ შენობაში გაგრძელებისა და სამსახურის გარეშე დარჩენის შიში მასწავლებლებს ერთნაირად აფორიაქებს. შეფიქრიანებულები არიან მშობლებიც: **"ამ მიკრორაიონში მეტი საბიუჯეტო სკოლა არ არის,** - ამბობს მარიამ გოდერძიშვილი, - **თუ ეს სკოლა დროზე არ გარემონტდა ან დაიხურა, იძულებულები ვიქნებით, ბავშვები სხვა მიკრორაიონში ვატაროთ, ან ფასიან სკოლაში შევიყვანოთ. არც ერთი გვაძლევს ხელს და არც მეორე."**

წესით, №187 სკოლას არაფერი უნდა გასჭირვებოდა. იგი მსოფლიო ბანკის იმ პროექტშია შეტანილი, რომელიც მიწისძვრით დაზიანებული სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. პრობლემა იმან შექმნა, რომ პროექტის რატიფიცირება საარჩევნო კოდექსზე დავით დაკავებულმა პარლამენტმა მხოლოდ სამი დღის წინათ მოახერხა. **"დოკუმენტს ჯერ არ მიუღწევია აღმასრულებელ ხელისუფლებამდე, საინვესტიციო ფონდამდე, იმ რგოლებამდე, რომელმაც შენობის რემონტი უშუალოდ უნდა აწარმოოს,** - განმარტავს სკოლის დირექტორი ზაზა ჩაჩავა, - **აგვისტო დაიწყო და ჩვენ შენობას ჯერ არაფერი ეტყობა."**

ასეთი შედეგის მოლოდინით შეშფოთებულმა მასწავლებლებმა წინასწარ, გაზაფხულზე მოაწყეს ერთდღიანი გაფიცვა. მაშინ მათთან განათლების მინისტრის მოადგილე თამაზ ტატიშვილი მივიდა და პირობა მისცა, - სექტემბრისთვის თქვენი პრობლემა მოგვარდებაო. განათლების სამინისტროში დღესაც აცხადებენ, რომ სკოლა ურემონტოდ არ დარჩება. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის პროექტის დაგვიანებით რატიფიცირებას, ამის მიზეზებს თვით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტშიც ვერ ასახელებენ.

მოკლედ

აგვისტოში "თელასის" ელექტრომომარაგება შეიზღუდება

საბითუმო ბაზარმა, გადახდის ცუდი მაჩვენებლის გამო, "თელასი" შეზღუდა. აგვისტოდან ის 131,8 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერგიის ნაცვლად, 37,2 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. ჰიდროელექტროსადგურებთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებებით კი კომპანია დამატებით 32,6 მლნ. კილოვატსაათ ელექტროენერგიას შეიძენს. **"ეს ნიშნავს, რომ აგვისტოს თვეში თბილისის ელექტრომომარაგება 26 პროცენტით შეიზღუდება,"** - განაცხადეს გუშინ საბითუმო ბაზარში.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, თბილისის მერიის და საკრებულოს კულტურის საქალაქო სამსახური დღეს სამაჩაბლოს ქართულ სოფელ თამარაშენში აქცია – "თბილისურ დღეებს" გამართავს. აქციაში მონაწილეობას ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სკოლების ტექნიკურ მუშაკებსა და სკოლამდელი აღზრდის უმეტესი დაწესებულებების პედპერსონალს ზაფხულის საშვებულებო ხელფასები ჯერაც არ მიუღიათ. განათლების მუშაკთა პროფკავშირებში აცხადებენ, რომ, თუ პრობლემა ორ დღეში არ გადაწყდება, მერიის შენობასთან აქციები გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს წლეულს 550 პირველკურსელი სტუდენტი ეყოლება. სექტემბერის დასაწყისში თბილისში დაბრუნდება ევროპის სხვადასხვა კლინიკაში სტაჟირების მიზნით გამგზავრებული 250-მდე სტუდენტი, რის გამოც თსსუ-ში სწავლა 10 სექტემბერს განახლდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა თბილისის მერიას გზების აღსადგენად საჩუქრად სპეციალური მანქანა გადასცა. თბილისის მერი ვანო ზოდელავა ამერიკის ელჩს გუშინ საელჩოში შეხვდა. რიჩარდ მაილსმა იმედი გამოთქვა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტი ამერიკელთა საჩუქარს ეფექტურად გამოიყენებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 20 წლის გიორგი მიქაბერიძე ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანიდან მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტზე დააკავეს. მიქაბერიძეს ბრალი ედება ზაზა ადიკაშვილის კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ 2107"-დან მობილური ტელეფონის მოპარვაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, მელაანის ქუჩაზე 4 აგვისტოს მომხდარ ავტოავარიას 74 წლის ელენე გაბრიელიანის სიცოცხლე შეეწირა. გაბრიელიანს „ვაზ 2109" მარკის ავტომანქანა დაეჯახა, რომელსაც 20 წლის ჰამლეტ კირვალიძე მართავდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იმერეთის სამხარეო პოლიციისა და შსს-ს თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობისათვის ძებნილი, 27 წლის, ადრე ნასამართლევი ირაკლი შანიძე. მან 2000 წლის 5 სექტემბერს წყალტუბოს ზონის სოფელ ჭოლევში სანადირო თოფიდან გასროლით მამუკა ცნობილაძე მოკლა. **ექსპრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა ლენტეხის რაიონის სოფელ შასაში მცხოვრები, 21 წლის ჯონი ონიანი დააკავეს. დაახლოებით, ორი კვირის წინ, ონიანი და ჯერჯერობით დაუდგენელი პირი ყაჩაღურად თავს დაესხნენ ფრიდონ ინჯიას აგარაკს და ნივთები გაიტაცა. პოლიციამ გატაცებული ნივთების ერთი ნაწილი უკვე ამოიღო. **ექსპრესი**

■ ■ ■

სოხუმი. გალის რაიონში 4 აგვისტოს მომხდარი აფეთქების ფაქტს, რომლის დროსაც თაგილონის აფხაზური საბაჟოს ოთხი თანამშრომელი დაიღუპა, სეპარატისტული აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დახურული სხდომა მიეძღვნა. სხდომაზე გადაწყდა, რომ მომხდართან დაკავშირებით ჩატარდება სამსახურებრივი მოკვლევა, რის შემდეგაც დადგება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც ამ ზონაში უსაფრთხოების დაცვა ევალებათ. დახურულ სხდომაზე, ასევე, გალის რაიონში მომუშავე აფხაზური სამართალდამცავი სტრუქტურების გაძლიერების პროგრამა მომზადდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეროვნული უშიშროების საბჭოს უსაფრთხოების მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგის

მოკლედ

თურქეთს არაბი ტურისტები მიაწყდნენ

თურქული ტურისტული სააგენტოების ცნობით, ბოლო ხანებში არაბი ტურისტები თურქეთს მიაწყდნენ. ერაყის ომის დროს ამერიკასთან ანკარას დაპირისპირების შემდეგ ეს ტენდენცია თვალშისაცემია.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში თურქეთს არაბული სახელმწიფოებიდან 325 000 არაბი ეწვია. თურქული მედიის აზრით, არაბი ტურისტების სიმრავლე ერაყის ომში თურქეთის პოზიციის დამსახურებაა.

“მე ჩემს არდადაგებს თურქეთში არავითარ შემთხვევაში არ გავატარებდი, თურქეთს ამერიკელები თავის ტერიტორიაზე რომ გაეტარებინა,” - გაზეთი “ზამანი” სირიელი სტუმრის სიტყვებს იმოწმებს.

ანალოგიური მოსაზრება იორდანიელმა ტურისტმაც გამოთქვა. “მე ჩემს ოჯახს თურქული მონუმენტები უნდა ვაჩვენო, იმ ქვეყნის, რომელმაც შეერთებულ შტატებს “არა” უთხრა,” - აღნიშნა მან.

ტურიზმი თურქეთის ეკონომიკაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ყოველწლიურად თურქეთში, დაახლოებით, 13 მილიონი ტურისტი ჩადის. გასულ წელს შემოსავალმა 11 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა.

პოლიციამ ერაყში წესრიგის აღდგენა დაიწყო

ნიუ-იორკის პოლიციის ყოფილი შეფის თქმით, რომელიც ამჟამად ერაყის საპოლიციო ძალებს აყალიბებს, დამნაშავეები თანდათან კონტროლს ექვემდებარებიან.

ბერნარდ კერიკი ამ თანამდებობაზე ოთხი თვის წინ დანიშნეს. მისი ინფორმაციით, ერაყის ახალმა პოლიციამ უკვე ოთხი ბანდის დაშლა მოახერხა, რომლებიც ერაყელებს გამოსასყიდის მოთხოვნით იტაცებდნენ ხოლმე.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ წარმოქმნილი უწესრიგობის გამო, შეერთებული შტატების ხელისუფლებას ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ.

კერიკმა ის სფეროები ჩამოთვალა, სადაც ერაყულმა პოლიციამ ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწია. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გამოსასყიდის მოთხოვნით ადამიანთა გატაცებებმა მკვეთრად იკლო. არადა, ეს პრაქტიკა სადამის დროსაც ძალზე პოპულარული იყო.

ამჟამად, ბერნარდ კერიკის განკარგულებაში 5000-ზე მეტი ერაყელი პოლიციელია, რაც მთელ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად აშკარად არ არის საკმარისი.

თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო პირი კიდევ ერთი წლით უხელმძღვანელებს

თურქეთის პრემიერ-მინისტრ თაიფ ერდოგანის ხელმძღვანელობით გაიმართა ქვეყნის მაღალჩინოსანი სამხედროების საბჭოს სხდომა. სხდომაზე, რომელიც ოთხი დღე მიმდინარეობდა, სენსაციური გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო პირი კიდევ ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. თურქეთის პარლამენტის მიერ მიღებული "კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მეშვიდე პაკეტის" მიხედვით კი ამ თანამდებობაზე სამოქალაქო პირი უნდა ყოფილიყო დანიშნული.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები გუშინ გახდა ცნობილი, რომლის თანახმად, პენსიაში გავიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი თუნჯერ ქილინჩი. მის ადგილზე ჯარის სარდალი შუქრუ სარიშიქი დაინიშნა. აგრეთვე, პენსიაში გავიდნენ საზღვაო ძალების სარდალი, ადმირალი ბულენტ ალპკაი, რომელის ადგილზეც მოვიდა ადმირალი ოზდენ ორნეკი და საჰაერო ძალების სარდალი ჯუმჰურ ასპარუკი, მის ადგილზე სამხედრო აკადემიის სარდალი იბრაჰიმ ფირთინა დაინიშნა.

გენერალური შტაბის უფროსი ჰილმი ოზქოქი, სახმელეთო ძალების სარდალი, არმიის გენერალი აითაშ იალმანი და ჟანდარმერიის სარდალი, არმიის გენერალი შენერ ერუიგორი, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაკავებულ თანამდებობებზე დარჩნენ.

საბოლოოდ კი სხდომაზე ერთი საფეხურით მაღალი წოდება მიენიჭათ 32 გენერალსა და ადმირალს, გენერლობა და ადმირალობა მიენიჭა 46 პოლკოვნიკს, 54 გენერალი და ადმირალი პენსიაში გაუშვეს.

იმედი

გვალვა ევროპაში - "გლობალური დათბობის" პირველი შედეგი?

არნახულმა სიცხემ ევროპაში და მისგან გამოწვეულმა ხანძრებმა უკვე 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

პორტუგალიამ განაცხადა, რომ ხანძრების ჩასაქრობად საკუთარი ძალები არ ეყოფა და ნატო-საგან ითხოვა სამხედრო ტექნიკის გამოყოფა. როგორც ნატო-ს შტაბ-ბინაში განაცხადეს, პორტუგალიას, ალბათ, უარს ეტყვიან, რადგან ასეთი აღჭურვილობა ყველა ქვეყანას თავისთვის სჭირდება.

ამ ქვეყანაში ტემპერატურა ამჟამად 40 გრადუსს აღწევს. სინოპტიკოსები აცხადებენ, რომ მომავალ კვირაში სიცხე კიდევ ორი გრადუსით მოიმატებს.

მეზობელ ესპანეთის ქალაქებში სევილიასა და კორდობაში ტემპერატურა 41 გრადუსს აღწევს.

ბერლინში, სახელმწიფო დაწესებულებებში, უზომო სიცხის გამო, მუშაობა შეწყდა.

არაჩვეულებრივად მაღალი ტემპერატურები თითქმის მთელ ევროპაში დაფიქსირდა. სხვადასხვა ქვეყნების მეტეოროლოგიური სადგურები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი სიცხე ისტორიას არ ახსოვს.

მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ მოვლენის დამაჯერებელი ახსნისათვის რამდენიმეთვიანი კვლევების ჩატარებაა საჭირო, თუმცა, მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი კლიმატოლოგი აცხადებს, რომ უჩვეულო ამინდი პირდაპირ კავშირშია გლობალურ დათბობასთან.

"ჩრდილოეთ ნახევარსფეროში არსებული არნახულად მაღალი ტემპერატურები ძალზე შემაშფოთებელია, – განაცხადა პროფესორმა ჯონ შელნუბერმა, გერმანიის მთავრობის მთავარმა მრჩეველმა მეცნიერების საკითხებში, – არსებობს იმის ალბათობა, რომ ადამიანის მიერ გამოწვეული გლობალური დათბობა გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მოველოდით".

"ის, რაც ახლა ხდება, აბსოლუტურად უჩვეულოა. ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიოში კლიმატი იცვლება, მაგრამ ასეთ მაღალ ტემპერატურებს მხოლოდ 20-30 წლის შემდეგ მოველოდით. დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ექსტრემალური ამინდები სულ უფრო ხშირი გახდება."

კლიმატის ცვლილება არ გულისხმობს მხოლოდ ტემპერატურის მომატებას. "ევროპაში ასეთი ხანგრძლივი სიმშრალე



აქამდე კლიმატოლოგები ვარაუდობდნენ, რომ გლობალური დათბობის შედეგად, საშუალო ტემპერატურა მსოფლიოში, მაქსიმუმ, ხუთი გრადუსით მოიმატებდა. თუმცა, ახლახან ბერლინში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ტემპერატურამ, შეიძლება, 7-10 გრადუსით მოიმატოს.

ამჟამად საშუალო წლიური ტემპერატურა ევროპაში ნორმალურზე მხოლოდ ხუთი გრადუსით მაღალია, რასაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – კატასტროფული შედეგები მოჰყვა. მეცნიერები აცხადებენ, რომ ტემპერატურის შემდგომი მომატება "გადამწყვეტ გავლენას" იქონიებს ჩვენი ცხოვრების მრავალ ასპექტზე.

არასოდეს ყოფილა. ყველაზე თვალშისაცემი კი ის არის, რომ ექსტრემალური ამინდები ასე მცირე ინტერვალებით დგება. შარშან მთელი გერმანია წყალდიდობამ წალეკა, წელს კი ისეთი გვალვაა, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს."

სარეკორდო ტემპერატურები დაფიქსირდა ინდოეთში, კანადაში, აშშ-ში, ჩინეთში, რუსეთის ზოგიერთ ნაწილში, ალასკაზეც კი.

ბრიტანეთის დაზვერვის შეფი „C" გადადგება

MI6-ის შენობა თემზის სანაპიროზე.

დიდი ბრიტანეთის ნომერ პირველმა ჯაშუშმა თანამდებობის დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ტონი ბლერის მთავრობა, ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არარსებობის გამო, დიდ სკანდალში გაეხვია. ომის დაწყებამდე ტონი ბლერი დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს და მისი გამოყენება ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ 45 წუთში შეუძლია. ომის დასრულების შემდეგ კი მოკავშირეებმა ამგვარი იარაღი ვერ აღმოაჩინეს.

როგორც ჩანს, მთავრობამ ჯოხის გადატეხა ლეგენდარული სადაზვერვო სამსახურის MI6–ის უფროსზე, სერ რიჩარდ დიარლავზე გადაწყვიტა. დიარლავი 58 წლისაა და მის ამ თანამდებობაზე დარჩენას, სულ მცირე, ორი წელი ვარაუდობდნენ. მან MI6-ის უფროსად მუშაობა 1999 წლის სექტემბერში დაიწყო.

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრსა და სადაზვერვო სამსახურებს შორის დიარლავის შემცვლელის თაობაზე, შესაძლოა, დაპირისპირება წარმოიქმნას.

MI6-ის ამჟამინდელმა და უკვე გადამდგარმა თანამშრომლებმა "ობზერვერთან" საუბრისას აღნიშნეს, რომ ისინი შიდა კადრს უჭერენ მხარს.

თუმცა, მთავრობასთან დაახლოებული წყაროები ამბობენ, რომ ტონი ბლერი გაერთიანებული სადაზვერვო კომიტეტის თავმჯდომარეს ჯონ სკარლეტს ანიჭებს უპირატესობას. მიმომხილველების თქმით, ეს, შესაძლოა, თავად პრემიერისათვის აღმოჩნდეს სავალალო, რადგან სკარლეტი ერაყის დოსიეს შედგენაში მონაწილეობდა.

სკარლეტი ბლერის შიდა წრის წევრია და ამბობენ, რომ უკვე მისი პირადი მეგობარიც გახდა.

აღსანიშნავია, რომ თავად დიარლავმა საკუთარი მემკვიდრე გასულ თვეს დაასახელა და იგი თავის მოადგილედ დანიშნა. ტრადიციულად, MI6-ის შეფის მოადგილის პოსტი ვაკანტურია, მაგრამ როდესაც სადაზვერვო სამსახურის შეფი გადადგომას გადაწყვეტს, იგი თავის მოადგილედ ვინმეს ნიშნავს, რაც იმის ნიშანია, რომ მისი შემცვლელი სწორედ იგი იქნება.

ახალი მოადგილის ვინაობა უცნობია. თვით სადაზვერვო სამსახურის შეფის სახელიც სულ რამდენიმე წელიწადია, რაც საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი. მანამდე, ეს ინფორმაციაც გასაიდუმლოებული იყო. თავად დიარლავის სურათი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს არ გააჩნიათ. არსებობს მხოლოდ სტუდენტობის დროინდელი შავ-თეთრი ფოტო, რომლის მიხედვით ბრიტანეთის უპირველესი მზვერავის ამოცნობა ძალზე რთული იქნება.

"ობზერვერი" მხოლოდ იმას იუწყება, რომ ახალ მოადგილეს სადაზვერვო სამსახურის ოფიცრები მისი გამორჩეული ინტელექტისა და ოპერაციების ჩატარების უნარის გამო სცემენ პატივს. ადრე იგი აზიასა და სამხრეთ ამერიკაში ჯაშუში იყო. ახლახან, ერაყის შესახებ ინფორმაციის შეკრებას სწორედ იგი ხელმძღვანელობდა.

მალე, დიარლავი სამსახურის მაძიებელთა არმიას შეუერთდება. რიჩარდ დიარლავს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი კემბრიჯის "ქუინს კოლეჯი" აქვს დამთავრებული. იგი ამბობს, რომ ეს ფაქტორი ახალი სამუშაოს მოძებნაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

ექსპერტების აზრით, დიარლავი ძალიან კარგი მენეჯერი გამოდგა. მან 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის ახალ საფრთხეებთან გასამკლავებლად სტრუქტურული გარდაქმნა სწრაფად შეძლო. მართალია, იგი ბლერთან დაახლოებულ პიროვნებად ითვლებოდა და პრემიერს საზღვარგარეთული ვიზიტების დროს, თითქმის, ყოველთვის თან ახლდა, მაგრამ ერაყის კამპანიის დროს იგი მთავრობიდან ერთგვარად გარიყული აღმოჩნდა.

რაც შეეხება სკარლეტს, იგი ადრე MI6-ში მუშაობდა და თავი სიმამაცით გამოიჩინა. მისი წყალობით, ბრიტანეთის დაზვერვისათვის მომუშავე საბჭოთა კგბ-ის აგენტი ოლეგ გორდიევსკი სიკვდილს გადაურჩა. თუმცა, სადაზვერვო სამსახურთან დაახლოებული პირების თქმით, მისი ნაკლი ის არის, რომ ერაყის ყბადაღებულ დოსიეს შექმნაში მას ლომის წვლილი მიუძღვის. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პრემიერმა ომის დასაწყებად ხალხი განზრახ მოატყუა. შესაბამისად, ნებისმიერი, ვინც ერაყის დოსიესთან არის დაკავშირებული, ძალზე არაპოპულარულია. ამის მიუხედავად, ტონი ბლერს სკარლეტის დანიშვნას ვერავინ დაუშლის. MI6-ის შეფის დანიშვნა პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური უფლებაა.

უმცროსი ალიევი უფლებამოსილებას იჩერებს

ᲨᲝᲗᲐ ᲣᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

აზერბაიჯანის ახალდანიშნულ პრემიერ-მინისტრს, ილჰამ ალიევს ან პრემიერობაზე მოუწევს უარის თქმა, ან - პრეზიდენტობის კანდიდატობაზე. ამ ქვეყნის საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადამიანს, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა, უფლება არა აქვს, სახელმწიფო თანამდებობა დაიკავოს. უმცროსი ალიევი კანდიდატად რეგისტრაციაში ორ აგვისტოს გაატარეს, პრემიერად კი ოთხ აგვისტოს დანიშნეს. აზერბაიჯანულმა ოპოზიციამ ალიევის დანიშვნა მაშინვე უკანონოდ გამოაცხადა.

რაკი კანონთან წინააღმდეგობა აშკარა იყო, "მემკვიდრე პრინცი" იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ნასიროვმა გუშინ განაცხადა, რომ ახალგამომცხვარი პრემიერ-მინისტრი არჩევნებამდე უფლებამოსილებას შეიჩერებს.

ალიევს გაპრემიერება საქართველოსა და თურქეთის ლიდერებმა უკვე მიულოცეს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა კი მასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

იმ შემთხვევაში, თუ უმცროსი ალიევი იძულებული გახდება, უფლებამოსილება შეიჩეროს, აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, ხელისუფლების გარეშე დარჩება, რადგან პრეზიდენტიცა და პრემიერ-მინისტრიც ქმედუუნარონი იქნებიან. კონსტიტუციის თანახმად, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობა პარლამენტის სპიკერმა უნდა შეასრულოს. ალესკეროვი კი ამ მოვალეობისათვის, ალბათ, ყველაზე ნაკლებად შესაფერისი პიროვნებაა.

"რადიო თავისუფლების" ცნობით, სახელისუფლებო კრიზისის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა, უფროსმა ალიევმა პრეზიდენტის თანამდებობა ვადამდე დატოვოს. ამ შემთხვევაში, მის მოვალეობას პრემიერ ილჰამ ალიევი ავტომატურად შეასრულებს, ამასთან, ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს.

ბაქოს პოლიტიკურ კულუარებში არჩევნების შესაძლო ახალ თარიღად (ის 15 ოქტომბრისათვის იყო დანიშნული) 2 ნოემბერს განიხილავენ. ამ დღეს არჩევნები საქართველოშიც ტარდება და ალიევის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ ეუთო-ს დამკვირვებლები საქართველოთი იქნებიან დაკავებულნი და მათ ნაკლებად "შეაწუხებენ".

ამ შემთხვევაშიც შეიძლება გარკვეული იურიდიული პრობლემები შეიქმნას. აზერბაიჯანის მთავრობა არ აღიარებს, რომ პრეზიდენტი მძიმედ არის ავად. "იგი მკურნალობს და მალე შინ დაბრუნდება," – აცხადებს ბაქო.

თავის მხრივ, ოპოზიცია აცხადებს: პრეზიდენტი იმდენად ავადაა, რომ ქვეყნის მართვის უნარი აღარ შესწევს. ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭომ განაცხადა, რომ არ სცნობს 8 ივნისის შემდეგ დათარიღებულ, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ არც ერთ დოკუმენტს, მათ შორის, არც იმ ბრძანებას, რომლის თანახმადაც ილჰამ ალიევი პრემიერად დაინიშნა. სხვათა შორის, ყოფილი პრემიერი არტურ რასიზადე ილჰამმა პირველივე ბრძანებით თავის პირველ მოადგილედ დანიშნა.

რაც შეეხება თავად ალიევს, იგი შინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ გუშინ მოულოდნელად ამერიკაში გაემგზავრა. იგი მკურნალობას კლივლენდის კლინიკაში გააგრძელებს, სადაც მას ადრე ორი ოპერაცია - გულის შუნტირება და თიაქარის მოცილება აქვს გაკეთებული.

პრეზიდენტის ამერიკაში გადაყვანა გვაფიქრებინებს, რომ ექიმებს მისი გადარჩენის იმედი ჯერ კიდევ აქვთ. თუმცა, გუშინ "სი-ენ-ენ ტიურკმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ალიევი კრიტიკულ მდგომარეობაშია და ხშირად კარგავს გონებას.

ილჰამ ალიევი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. REUTERS

ბოლო ხანს შესამჩნევად გააქტიურდა აზერბაიჯანული ოპოზიცია. სამმა მსხვილმა ოპოზიციურმა დაჯგუფებამ – სახალხო ფრონტმა, მუსავატმა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ რამდენიმე საერთო აქციის, მათ შორის, მრავალათასიანი მიტინგის ორგანიზება შეძლეს. არის საუბარი არჩევნებზე საერთო კანდიდატის წამოყენებაზეც. "მუსავატის" ლიდერი, ისა გამბარი აცხადებს, რომ ოპოზიციის კანდიდატი სწორედ იგი იქნება და გაიმარჯვებს კიდეც. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ამჟამად მათთან აწარმოებს მოლაპარაკებას. თუმცა, მიმომხილველები აცხადებენ, რომ ოპოზიცია ერთიანობისა და გამარჯვებისაგან ძალიან შორსაა.

ხელისუფლება ოპოზიციისთვის არაფრის დათმობას არ აპირებს. "ოპოზიციისათვის წარმატების მიღწევის ერთადერთი გზა ანარქიისა და არეულობის გამოწვევაა. მაგრამ ჩვენ მათ ამის უფლებას არ მივცემთ. ჩვენ არასოდეს დავუშვებთ, რომ ოპოზიცია მოვიდეს ხელისუფლებაში. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შანსები ნულის ტოლია".

ეს განცხადება აშკარად მიანიშნებს იმაზე, როგორი არჩევნების ჩატარებას აპირებს აზერბაიჯანის ხელისუფლება. ანალიტიკოსები და მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უმცროს ალიევს, პრაქტიკულად, გამარჯვების ასპროცენტიანი შანსი აქვს. "ყოფილი აზარტული მოთამაშისა და პლეიბოის", როგორც მას დასავლურ პრესაში უწოდებენ, გაპრეზიდენტებას კმაყოფილებით შეხვდებიან როგორც უმნიშვნელოვანესი უცხოური სახელმწიფოები (აშშ, რუსეთი, თურქეთი), ისე აზერბაიჯანში მოღვაწე უცხოური ნავთობკომპანიები. ილჰამს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების მხარდაჭერაც გარანტირებული აქვს.

დრო გვიჩვენებს, როგორ შეძლებს ახალი და გამოუცდელი პრეზიდენტი ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას. ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი დინასტიის ბედსაც სწორედ ეს განსაზღვრავს.

ფხენიანი ირანში რაკეტების ექსპორტს აპირებს

კორეული რაკეტები, შესაძლოა, ირანში აღმოჩნდეს.

ოთხშაბათს ერთ-ერთმა იაპონურმა გაზეთმა სტატია გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, ჩრდილოეთ კორეა დიდ რადიუსზე მოქმედი რაკეტების “ტაეპო-დონგ 2”-ის ირანში ექსპორტს გეგმავს. გაზეთის ცნობით, ფხენიანი და თეირანი ბირთვულ იარაღზე ერთობლივ მუშაობასაც აპირებენ.

კონსერვატორული შეხედულებების მქონე “სანკეი შიმბუნმა” სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ირანი ბირთვული იარაღის კომპონენტების აწყობას თეირანის მახლობლად მდებარე გასაიდუმლოებულ საწარმოში აპირებს.

ამავე გაზეთის თქმით, ჩრდილოეთ კორეა ირანში ექსპერტების გაგზავნას აპირებს, რათა ირანს ბირთვული ტექნოლოგიების განვითარებაში დახმარება გაუწიოს. აშშ-ს მიერ “ბოროტების ღერძის” სახელმწიფოებად შერაცხული ორივე სახელმწიფო ბირთვული ქობინების წარმოებას ერთობლივად შეუდგება.

ისინი უკვე ერთი წელია, ამ გეგმას განიხილავენ და საბოლოო შეთანხმებას, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოსათვის მიაღწევენ, - ნათქვამია “სანკეის” სტატიაში.

შეერთებული შტატები და ჩრდილოეთ კორეის მეზობლები ფხენიანზე ზეწოლას ახორციელებენ, რათა ამ უკანასკნელმა ბირთვული პროგრამები შეაჩეროს. ჩრდილოეთ კორეა რამდენიმე დღის წინ საერთაშორისო მოლაპარაკებების გამართვას დათანხმდა, რათა ბირთვული პროგრამების შეჩერების პირობები განიხილოს. შეხვედრა სექტემბერში პეკინში გაიმართება.

თუ ირანი “ტაეპო-დონგ 2” ტიპის რაკეტებს მოიპოვებს, რომლის მოქმედების რადიუსი 6 000 კილომეტრს აღემატება, მაშინ თეირანს შესაძლებლობა ექნება, ევროპაში სამიზნეები დაბომბოს.

იაპონური გაზეთის ცნობით, ეკონომიკური კოლაფსის წინაშე მყოფი ჩრდილოეთ კორეის ერთადერთ შემოსავლის წყაროდ იარაღის ექსპორტი რჩება. ფხენიანი იარაღის მიყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და პაკისტანთან აწარმოებს.

ირანის თქმით, გასულ თვეს ახალ ბალისტიკურ რაკეტა “შაჰაბ 3”-ზე მუშაობა უკვე დასრულდა. ირანმა თავისი ბალისტიკური რაკეტა კორეული “ნო-დონგ 1”-ის ანალოგიით დაამზადა.

ირანი გადაჭრით უარყოფს ამერიკის ბრალდებებს, რომლის თანახმად, თეირანი ბირთვულ რეაქტორებს იარაღის შესაქმნელად გამოიყენებს. თეირანის მტკიცებით, რეაქტორები, მხოლოდ და მხოლოდ, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად არის აუცილებელი.

როიტერი

ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი.
განმეორებითი მატჩები

მაკაბი (თ-ა ისრაელი) – **ჟილინა (სლოვაკეთი)**	1:1 (0:1)
ჰიკი (ფინეთი) – **მტკ (უნგრეთი)**	1:0 (1:3)
შახტარი (უკრაინა) – შერიფი (მოლდოვა)	2:0 (0:0)
ვარდარი (მაკედონია) – ცსკა (რუსეთი)	1:1 (2:1)
ომონია (კვიპროსი) – **ვისლა (პოლონეთი)**	2:2 (2:5)
როსენბორგი (ნორვეგია) – გოჰემიანსი (ირლანდია)	4:0 (1:0)
სლავია (ჩეხეთი) – ლეოთარი (ბოსნია)	2:0 (2:1)
ცსკა (ბულგარეთი) – პიუნიკი (სომხეთი)	1:0 (2:0)
ანდერლეხტი (ბელგია) – რაპიდი (რუმინეთი)	3:2 (0:0)
გრაცი (ავსტრია) – ტირანა (ალბანეთი)	2:1 (5:1)
სელტიკი (შოტლანდია) – კაუნასი (ლიტვა)	1:0 (4:0)
დინამო (ხორვატია) – მარიბორი (სლოვენია)	2:1 (1:1)
დიურგარდენი (შვედეთი) – **პარტიზანი (სერბეთი)**	2:2 (1:1)
შლემა უონდერერზი (მალტა) – **კოპენჰაგენი (დანია)**	0:6 (1:4)

საქართველოს ჩემპიონატი "რუსთავი 2"-ზე

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში პრესკონფერენცია გამართეს პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა, დიმა რამიშვილმა და გენერალურმა მდივანმა, რევაზ ლორთქიფანიძემ. მოგეხსენებათ, სწორედ ეს ორგანიზაცია ჩაატარებს საქართველოს ჩემპიონატს ფეხბურთში. ფედერაცია მას მხოლოდ პირველ ეტაპზე გაუწევს დახმარებას.

შეიქმნა პროფესიული საფეხბურთო ლიგის საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შევიდნენ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები (ყოველი კლუბიდან თითო წარმომადგენელი). სფფ-დან ამ საბჭოში შევიდა ვიცეპრეზიდენტი, ლერი სულაბერიძე. კლუბების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელშიც განსაზღვრულია პფლ-ის ძირითადი პოსტულატები.

პფლ-მა და ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, სექტემბრიდან ჩემპიონატის მიმოხილვა "რუსთავი 2"-ის ეთერით გადაიცემა.

საუკეთესოების ვინაობა მონაკოში გაირკვევა

ჰაატა თოთაძე

სპორტის თითქმის ყველა სახეობაში, მით უმეტეს ფეხბურთში, ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ ათასგვარი გამოკითხვა ეწყობა წარჩინებულთა გამოსავლენად. ზოგიერთი გამოკითხვა პრესტიჟულია, ზოგიც - ნაკლებად. ერთ-ერთი, ერთობ პრესტიჟული, ავტორიტეტული გამოკითხვის შედეგები 28 აგვისტოს გახდება ცნობილი – მას უეფა ატარებს. გამოკითხულები კი უეფას ტექნიკური კომისიის წევრები არიან, მათ შორის – სერ ალექს ფერგიუსონი, მარჩელო ლიპი, ჟერარ ულიე, რინუს მიხელსი, ჯოვანი ტრაპატონი და ევროპული ფეხბურთის სხვა ცნობილი სპეციალისტები. მათთან ერთად გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება უბრალო გულშემატკივარსაც შეეძლო. ამისათვის საჭირო იყო უეფას საიტზე შესვლა და საუკეთესო მეკარის, მცველის, ნახევარმცველის და თავდამსხმელის ნომინაციაში რჩეულების დასახელება. გულშემატკივართა აზრი შეჯამდება და უეფას ტექნიკური კომისიის ერთი წევრის ხმად იქნება მიჩნეული. ამ ნომინაციების გარდა, ჯილდოები დაწესებულია საუკეთესო მწვრთნელისთვის, საუკეთესო ბომბარდირისთვის – "ოქროს ბუცი," ასევე - ყველაზე ლამაზი გოლის ავტორისათვის. ბოლო ნომინაციაში გამარჯვებულს მხოლოდ გულშემატკივარი ავლენს. რაც შეეხება საუკეთესო მწვრთნელს, მას თავად უეფას ხელმძღვანელობა დაასახელებს. ნომინანტთა სრული სია ასე გამოიყურება:

საუკეთესო მეკარე – ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), იკერ კასილიასი (რეალი)

საუკეთესო მცველი – კრისტიან კუვუ (აიაქსი), პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა (მილანი), რობერტო კარლოსი (რეალი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი)

საუკეთესო ნახევარმცველი – ედგარ დავიდსი (იუვენტუსი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), კლოდ მაკელელე (რეალი), ზინედინ ზიდანი (რეალი), პოლ სქოულზი (მანჩესტერი)

საუკეთესო თავდამსხმელი – რაული (რეალი), რონალდო (რეალი), ანდრეი შევჩენკო (მილანი), კრისტიან ვიერი (ინტერი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერი)

წარჩინებულთა დაჯილდოების ცერემონიალი 28 აგვისტოს გაიმართება მონაკოში. ეს გამოკითხვა და დაჯილდოების ცერემონიალის მონაკოში გამართვა უკვე ტრადიციად იქცა და ახალი სეზონის დაწყების სიმბოლოდ აღიქმება.

ვენგერი კმაყოფილია

ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად შოთა არველაძის "გლაზგო "რეინჯერსმა" კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე ლონდონის "არსენალი" იყო. "მეთოფეები" გლაზგოს წამყვანი მოთამაშეების გარეშე (ანრი, ვილტორდი, პირესი) ესტუმრნენ, მაგრამ მათი არყოფნა გუნდს საერთოდ არ დატყობია. ედუმ (31), ლორანმა პენალტით (47), და კემპბელმა (57) სამი უპასუხო გოლი აგემეს შოტლანდიის ჩემპიონს. შტეფან კლოსმა კი ლორანის დარტყმული კიდევ ერთი პენალტი მოიგერია.

"მეთოფეთა" მწვრთნელი არსენ ვენგერი, "სელტიკის" წინააღმდეგ შაბათს გამართული შეხვედრისგან (1:1) განსხვავებით, კმაყოფილი დარჩა. "მეორე ტაიმში თამაშს მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებდით. ბევრად უფრო უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე "სელტიკთან" შეხვედრაში და მეორე ტაიმში, მართლაც, დასახული მიზნის მიხედვით ვიმოქმედეთ," - თქვა ვენგერმა.

პატრიკ ვიეირა, რომელმაც მუხლის ტრავმა ახლახან მოირჩინა, მინდორზე ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდა. სწორედ მან მოიპოვა პენალტი, რომელიც ლორანმა გამოიყენა. სავარაუდოდ, ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი კარდიფის "მილენიუმის" სტადიონზეც გამოჩნდება, სადაც 10 აგვისტოს ინგლისის სუპერთასის მატჩში "არსენალი" "მანჩესტერ იუნაიტედს" დაუპირისპირდება.

"ეს ერთი საათი ფეხბურთელმა კარგად ითამაშა," - ამბობს ვენგერი, - მუხლზე არავითარი გართულება არ მიუღია. კვირას ვარჯიშზე მასთან ბევრი ვიმუშავე. ვნახოთ, რა იქნება ხვალ, მაგრამ ჯერჯერობით ვიეირას მდგომარეობა იმედს გვინერგავს".

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 7 აგვისტო

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "სან პაულუ"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი
17:15 "დარტყმა გოლისთვის"
17:30 ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 განვლილი სეზონის გახსენება. საფრანგეთის ჩემპიონატი. "ოლიმპიკი" – "პსჟ"
21:20 "FUTBOL MUNDIAL"
21:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "სან პაულუ"
23:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. "ვალენსია" – "ლაციო"
01:20 "FUTBOL MUNDIAL"
01:50 01:50-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კრუზეირო" – "სან პაულუ". პირდაპირი ტრანსლაცია. ტრანსლაციის დასრულებისას 13:00-მდე შესვენება

НТВ + СПОРТ
11:00, 14:00, 17:20, 21:45 პრეს-ცენტრი
11:15, 23:30 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მონრეალში
13:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
14:40 საბრძოლო სამბო. რუსეთის თასი
15:40 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
16:30 "რკინის ფაქტორი"
17:00 "წვიმის აღმატებულება"
17:40 მძლეოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მონრეალში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:35 სახვალიო ტელეპროგრამა
23:40 "ჰოკეის საღამო"
00:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
00:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
01:15 ახალი ამბები
01:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში

EUROSPORT
11:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
12:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი უნგრეთში
13:30 "ოლიმპიური თამაშები"
14:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
21:00 თავგადასავალი. რეიდ Gauloises ყირგიზეთში
21:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:30 ახალი ამბები
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
02:15 საბრძოლო ორთაბრძოლები
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

ნაკრების მწვრთნელი მერაბ ჟორდანიაა

სფფ-ის პრეზიდენტი ნაკრებს სამ მატჩში უხელმძღვანელებს, მერე კი სხვა მოვა - აუცილებლად უცხოელი...

აკა ტონია

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 18 საათზე დანიშნულ პრესკონფერენციაზე ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ვინაობაზე რომ იქნებოდა საუბარი, წინასწარვე ვხვდებოდით, თუმცა სფფ ნაკრების დროებით მწვრთნელად ვის დანიშნავდა, ნამდვილად არ გვქონდა წარმოდგენა.

საქართველოს ნაკრებში ივო შუშაკის კარიერა რუსეთისა და ირლანდიის წინააღმდეგ მატჩებით შემოიფარგლა, ასე ისურვა "დინამომ". სფფ შუშაკის დარჩენას ემხრობოდა, თითქოს, "დინამოც" თანახმა იყო, მაგრამ საქართველოს ჩემპიონი კლუბის ხელმძღვანელობამ აზრი უკანასკნელ მომენტში შეიცვალა და ფედერაციას მაშინ სტკიცა უარი, როდესაც ახალი მწვრთნელის მოძიების არავითარი დრო აღარ რჩებოდა...

სფფ კვლავინდებურად დროებით მწვრთნელზე ალაპარაკდა, პრესა კი ამ პოსტის ყველაზე რეალურ კანდიდატად რეზო არველაძეს მიიჩნევდა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნათელი გახდა, რომ ვარაუდი არ გამართლდა.

"მოგეხსენებათ, რომ თბილისის "დინამომ" ივო შუშაკის საქართველოს ნაკრებში მოღვაწეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ფედერაცია ამისათვის არ იყო მზად. ფაქტობრივად, ჩვენ დრო აღარ გვაქვს, რომ უცხოელ სპეციალისტთან ვაწარმოოთ მოლაპარაკება. იძულებულები ვართ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დარჩენილ სამ მატჩში ნაკრებს დროებითი მწვრთნელი დავუნიშნოთ. შესაძლოა, ეს ჩვენი შეცდომაც იყო. აღბათ, "დინამოს" გადაწყვეტილებას უფრო მოგებულები უნდა შევხვედროდით", - განაცხადა მერაბ ჟორდანიამ და დროებითი მწვრთნელის ვინაობაც გაგვიმხილა, - მივიღეთ გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შესარჩევი ციკლის დარჩენილ სამ მატჩში ნაკრებს მე ვუხელმძღვანელებ".

უცხოელი სპეციალისტის მოწვევამდე ნაკრებს მერაბ ჟორდანია გაწვრთნის

მერაბ ჟორდანიას ეს სიტყვები ბევრისთვის მოულოდნელი იყო, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება ზოგიერთისთვის დამაიმედებელიც აღმოჩნდა. ვიდრე ფედერაცია ახალი მწვრთნელის ვინაობას გაგვანდობდა, ზოგიერთები შიშობდნენ, რომ ისტორია განმეორდებოდა და ეს დროებითი მწვრთნელი (აღბათ, ქართველი) ოდნავი წარმატების მიღწევის შემთხვევაში ნაკრებში კარგა ხნით დარჩებოდა და კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის მოწვევის საკითხი კვლავ ამოვარდებოდა დღის წესრიგიდან. ჟორდანიას დროებითი მწვრთნელობა კი ამ საშიშროებას თავიდანვე გამორიცხავს. უცხოელი სპეციალისტის მოწვევა ფედერაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. "წინასწარვე გეტყვით, რომ ჩემი სამწვრთნელო მოღვაწეობა მხოლოდ და მხოლოდ ამ სამი მატჩით ამოიწურება. მე აღარ ვარ იმ ასაკში, რომ პროფესიული კარიერა თავიდან დავიწყო. მიმდინარე შესარჩევი ციკლის დასრულებისთანავე ნაკრებში ახალი მწვრთნელი დაინიშნება, რომელიც აუცილებლად უცხოელი იქნება", - განაცხადა მერაბ ჟორდანიამ.

დროებითმა მწვრთნელმა თავისი თანაშემწეებიც დაასახელა. მერაბ ჟორდანია ტელეფონით უკვე ესაუბრა თემურ ქცებაიასა და მიხეილ ყაველაშვილს და მათგან თანხმობაც მიიღო. მომავალ სამ მატჩში ჟორდანიას ქეცბაია, ყაველაშვილი და რეზო არველაძე გაუწევენ ასისტენტობას. მეკარეების მწვრთნელად კი კვლავინდებურად ოთარ გაბელია დარჩება.

ახალი მწვრთნელის მოსვლასთან ერთად საკმაოდ საინტერესო ცვლილება მოხდება გუნდის შემადგენლობაშიც - მერაბ ჟორდანია ნაკრებში გოჩა ჯამარაულს აბრუნებს. "მიმაჩნია, რომ ჯამარაულს ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები და ნაკრებისათვის მას ისევ ბევრის გაკეთება შეუძლია. გოჩა ჯამარაული ნაკრებში დაბრუნდება და მომავალ მატჩებში აუცილებლად ითამაშებს", - განაცხადა ჟორდანიამ. სფფ-ის პრეზიდენტი უკვე ესაუბრა ჯამარაულს, რომელიც ნაკრებში დაბრუნების წინადადებას დასთანხმდა. ნაკრების მთლიან შემადგენლობას ჟორდანია ალბანეთთან მატჩამდე 14 დღით ადრე დაასახელებს. ალბანეთთან მატჩი პირველი იქნება მერაბ ჟორდანიასთვის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. როგორც სფფ-ის პრეზიდენტმა გვითხრა, აზერბაიჯანის წინააღმდეგ დანიშნული ამხანაგური შეხვედრა, ფედერაციის გადაწყვეტილებით, აღარ შედგება.

ალბანეთთან მატჩი 6 სექტემბერს გაიმართება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. ოთხი დღის მერე კი ქართველები ესტუმრებიან ალბანელებს. "ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოსკოვში ჩასულებს რუსეთის წინააღმდეგ მატჩში ქვეჯგუფიდან გასვლის შანსები დაკარგული არ გვქონდეს", - ოპტიმისტურად არის განწყობილი ჟორდანია. გაზეთი "24 საათი" საქართველოს ნაკრების დროებით მწვრთნელს წარმატებებს უსურვებს და მასავით ინარჩუნებს მომავალ სამ მატჩში გამარჯვების იმედს.

65 მილიონი ევრო „ჩელსისთვის"

რუსი ნავთობმაგნატი რომან აბრამოვიჩი სულ რამდენიმე თვეა, რაც ლონდონის "ჩელსის" საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა და სატრანსფერო ბაზარზე არისტოკრატთა გუნდისთვის უკვე 40 მილიონი ევრო დახარჯა. მილიარდერმა სამი ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ ამ მიღწევაზე გაჩერებას არ აპირებს. ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში დანახარჯი 25 მილიონით გაიზრდება.

"ჩელსი" აღარ ხუმრობს. კლუბმა ახლახან ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ჯო კოული გადაიბირა. სატრანსფერო თანხამ 6,6 მილიონი ევრო შეადგინა. კოული აბრამოვიჩის მესამე მნიშვნელოვანი შენაძენი გახდა. არისტოკრატების ახალბედა ნახევარმცველი კი მეორე ვესტჰემელია, რომელმაც "აპტონ პარკიდან" "სტემფორდ ბრიჯზე" გადაინაცვლა.

უფრო ადრე "ჩელსიმ" "ვესტ ჰემიდან" გლენ ჯონსონი შეიძინა - ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი. აბრამოვიჩმა ახალი ფეხბურთელების შეძენაზე 40 მილიონი ევრო უკვე დახარჯა და თუ 25 მილიონად "მანჩესტერ იუნაიტედიდან" ხუან სებასტიან ვერონიც გადმოიბირა, სატრანსფერო ბაზარზე აბრამოვიჩის მოღვაწეობა, უბრალოდ, სამაგალითო გახდება.

აბრამოვიჩმა ვერონი მაინც გადაიბირა და, როგორც ჩანს, საწადელიც აისრულა. გუშინ ლონდონის "ჩელსის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა კლუბის პასუხისმგებელი მდივნის განცხადება იმის შესახებ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" მიიღო არისტოკრატების წინადადება ხუან სებასტიან ვერონის გაყიდვის თაობაზე. ლონდონური კლუბი მანკუნიანელებს 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდის. ვერონს ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე სამედიცინო შემოწმების გავლა და პირადი კონტრაქტის დეტალების განხილვა დარჩა. ლონდონელები ცდილობენ, ყველა ფორმალობა ხუთშაბათამდე მოაგვარონ, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის ტურნირისთვის განაცხადების შეტანის ვადა ამოიწურება.

ამ დროისთვის, სანამ ვერონი არისტოკრატთა სრულუფლებიანი წევრი გახდება, კოული, ჯერემი და დაფი – აბრამოვიჩის კოლექციის ყველაზე ძვირფას შენაძენს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, მათ დევიდ ბექჰემისა და როი მაკაის ტრანსფერს ვერ შეადარებ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნავთობმაგნატი სატრანსფერო ბაზარზე ახლახან გავიდა - როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებმა ან ახალი კონტრაქტები გააფორმეს ან სხვადასხვა კლუბებში გადავიდნენ.

აბრამოვიჩი ინტერვიუებში აღიარებს, რომ მისი გუნდი მომავალ სეზონზე ქვეყნის ჩემპიონობას ვერ შეწვდება, მაგრამ ამტკიცებს, რომ სამომავლოდ მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად მყარი საფუძველია ჩაყრილი. "ჩელსის," თითქმის, ყველა ახალწვეული ახალგაზრდა და უაღრესად ნიჭიერია. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, რამდენიმე წელიწადში ლონდონის "ჩელსი" ინგლისის წამყვანი კლუბი გახდეს.

ქრონიკა

ნოკდაუნი რინგს მიღმა

ლუისის ბანაკი კლიჩკოსთან რევანშს თავს არიდებს

გიგა გურასაშვილი

ლუისი ამბობს რევანში არ შედგებაო.

21 ივნისს ლოს ანჯელესის "სტეპლზ ცენტრში" ბრიტი ლენოქს ლუისისა და უკრაინელი ვიტალი კლიჩკოს რინგზე ასვლამდე თვეების განმავლობაში გაჯანჯღლებული მარჩიელობა უძღოდა წინ. ნებისმიერი დიდი ბრძოლის წინ მოკრივეთა ბანაკებს შორის დავა-კამათი ჩვეული ამბავია და ერთგვარ სარეკლამო აქციასაც წარმოადგენს. თუ მათი ფალავნების ორთაბრძოლა სანახაობრივადაც კარგი გამოდგა, კამათში გულშემატკივართა არმიაც ერთვება და ერთმანეთს საკუთარი რჩეულის სიძლიერეს უმტკიცებენ, თანაც შესაძლო მატჩ-რევანშის აღბათობაზეც მსჯელობენ ხოლმე. ლუისი-კლიჩკოს შემთხვევაშიც ასე იყო. კლიჩკოს ბანაკს საკმაო ძალისხმევა დაჭირდა იმისთვის, რომ ლუისი ვიტალისთან ჩხუბზე დაეყაბულებინათ. მოგეხსენებათ, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ ბანაკებმა შეთანხმებას მიაღწიეს.

თავდაპირველად ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზეც, რომ ბრიტანელისა და უკრაინელის დაპირისპირება კომერციულად ნაკლებად მოგებიანი იქნებოდა, მაგრამ სეპტიკოსთა ვარაუდი არ გამართლდა. საკრივო საქმეთა ავან-ჩავანის მცოდნე და ალღოს მქონე ამერიკული საკაბელო ტელევიზიის, HBO-ს მონაცემთა თანახმად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ლუისი კლიჩკოს ორთაბრძოლის ცისფერ ეთერში ტრანსლირება, ბრიტანელისა და უკრაინელის ჩხუბი კრივისთვის ყველაზე მაღალრეიტინგიანი გამოდგა - ექვსრაუნდიან ბრძოლას აშშ-ში 4,6 მილიონ ოჯახში უცქირეს. ეს ციფრი მაყურებლის 13,4 პროცენტს უდრის. სრულიად აშშ-ის საკაბელო ტელევიზიის ამგვარივე მაჩვენებლით, ჯერჯერობით, შენონ ბრიგსისა და ჯორჯ ფორმენის 1997 წლის დაპირისპირება ლიდერობს (მაშინ აღნიშნული ორთაბრძოლით ტელემაყურებელთა 14,9 პროცენტმა იჯერა გული). გამარჯვება ბრიგსს დარჩა. ასე რომ, ლუისი-კლიჩკოს 21 ივნისის ორთაბრძოლას სოლიდური რეიტინგი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელმა ბრიტანელისა და უკრაინელის ორთაბრძოლის მხოლოდ ნახევარი იხილა, ბრძოლით ყველა აღფრთოვანებული დარჩა. მოგეხსენებათ, ეს შეჯიბრება, დაგეგმილი 12 ნაცვლად, მხოლოდ ექვს რაუნდს გაგრძელდა. ბრძოლის დროზე ადრე შეჩერების მიზეზი უკრაინელის, ფაქტობრივად, გადახლეჩილი სახის მარცხენა ნაწილი გახდა, რის შემდეგადაც ორთაბრძოლის მთავარმა ექიმმა ჩხუბის შეწყვეტა ბრძანა. არადა, ექვსი რაუნდის ჯამში ვიტალი კლიჩკო ბრიტანელს უგებდა(58-56). თუმცა, მან ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებულმა დატოვა რინგი.

21 ივნისის ჩხუბი დღესაც აქტუალურია და ესეც დამახასიათებელი მოვლენაა ამგვარი ორთაბრძოლებისთვის. ბრძოლის დასრულებისთანავე დღის წესრიგში მატჩ-რევანში დადგა. მხარეები, თითქოს, შეთანხმდნენ კიდეც, რომ, სავარაუდოდ, 6 დეკემბერს, ასევე სავარაუდოდ, "მედისონ სკვერ გარდენში" ხელმეორედ შეეყრებოდნენ ერთამენთს, თუმცა...

ამბობენ - კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონი ლენოქს ლუისი წელს რინგზე აღარ გავაო. ეს ინფორმაცია კლიჩკოების პრომოუტერს, კლაუს-პიტერ კოლს ლუისის ადვოკატმა, ჯად ბერშტეინმა გაუმხილა. ბუნებრივია, აღნიშნულის შესახებ ვიტალიმაც შეიტყო. უკრაინელი იმჟამად ჰამბურგში იმყოფებოდა და იგი უმალ ჟურნალისტთა გარემოცვაში მოექცა. აი, რა უთხრა გერმანელ ჟურნალისტებს ვიტალი კლიჩკომ: "თუ ეს სიმართლეა, მაშინ შოკირებული ვარ. სიმართლე გითხრათ, ამას არც ველოდი. ჩემთვის დიდი მოულოდნელობაა ის, რომ ლუისს წელს ჩემთან რევანშის უნარი არ შესწევს. მართალია, იგი უდიდესი ჩემპიონია, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მან გაისიგრძეგანა, თუ რამდენად მძიმე ორთაბრძოლა გადახდა ჩემთან და ამიტომაც განმეორებით მატჩს თავს არიდებს... მე ახლაც მზად ვარ მასთან საჩხუბრად და, საერთოდაც, ვთვლი, რომ პირველ ჩხუბი მე მოვიგე. დარწმუნებული ვარ, განმეორებით ბრძოლასაც მოვიგებ. ვიმედოვნებ, ლენოქსი გადაწყვეტილებას შეცვლის და რევანშისთვის წელსვე შევხვდებით".

ინფოთეკა

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედმა" ესპანეთის "ბარსელონას" 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა, ცენტრალური მცველის კარლოს პუიოლის სანაცვლოდ. 25 წლის ფეხბურთელს, რომელიც "ბარსაში," ხელფასის სახით, კვირაში 71 ათას გირვანქას, პლუს მინდორზე გამოჩენისთვის 16 ათასს იღებდა, შანსი აქვს გახდეს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი "მანჩესტერ იუნაიტედში".

■ ■ ■

ფეხბურთი. BBC-ის ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" მზად არიან, ამსტერდამის "აიაქსს" 15 მილიონი ევრო შესთავაზონ, ახალგაზრდა ტალანტის რაფაელ ვან დერ ვაარტის სანაცვლოდ, იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი საზღვარგარეთ გადაწყვეტს საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას. "ლივერპულს" ფეხბურთელის გადაბირება ჯერ კიდევ 2002 წელს სურდა, მაგრამ მაშინ საქმის გაჩარხვა ვერ მოახერხა. ახლა კი მერსისაიდელებს "იუნაიტედის" კონკურენციის დაძლევა მოუწევთ, რომელიც უარს არ იტყოდა ვან დერ ვაარტისა და ვან ნისტელროის წყვილზე.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ჩელსიმ" "უოტფორდს" საკონტროლო შეხვედრა ანგარიშით - 4:1 მოუგო. ამ შეხვედრაში ახალწვეულებმა გამოიჩინეს თავი. გოლები მიხაელ ფორსელმა, ფრენკ ლამპარდმა, ჯიმი-ფლოიდ ჰასელბაინკმა და დამიენ დაფმა გაიტანეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "სანდერლენდის" ფორვარდი კევინ ფილიპსი "საუთჰემპტონში" გადავიდა. სატრანსფერო თანხა 3 მილიონი გირვანქა სტერლინგია. "მე მინდა კლუბის შეცვლა და კლუბსაც სურდა ჩემი გაყიდვა, ფინანსური პრობლემების გამო. მე "სანდერლენდში" 6 შესანიშნავი სეზონი გავატარე, მაგრამ ახლა წასვლის დრო დადგა. ვგრძნობ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემი საფეხბურთო კარიერა პროგრესს არ განიცდის. გუნდის შეცვლა დამეხმარება, საკუთარი თავი ვიპოვო," - განაცხადა ფეხბურთელმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფრანგული "ლიონი" სონი ანდერსონის შემცვლელს ეძებს. ანდერსონი ესპანეთის "ვილიარეალში" გადავიდა. "ლიონის" ხელმძღვანელები ამჟამად "ლიდსელი" მარკ ვიდუკასა და "ბაიერნის" ფორვარდის კლაუდიო პიზაროს კანდიდატურას განიხილავენ. "გერმანელებს პიზაროს გაშვება არ უნდოდათ, მაგრამ როი მაკაის შემდეგ მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს. ჩვენ "ლიდს იუნაიტედს" შევთავაზეთ, მარკ ვიდუკას სანაცვლოდ, ბრაზილიელი მცველის ედმილსონის კანდიდატურაც, მაგრამ ბრაზილიელს ნისლიან ალბიონზე გადაბარგება მაინცდამაინც არ ხიბლავს," - ამბობს "ლიონის" პრეზიდენტი.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ფლორიდაში დააპატიმრეს წარსულში სახელგანთქმული ჩოგბურთელი როსკო ტენერი. კვირას 51 წლის ტენერი გერმანიაში იქნა ექსტრადირებული, სადაც ბოლო დროს ცხოვრობდა. ტენერს თაღლითობა ედება ბრალად. მან 35 600 დოლარად ნავი შეიძინა. თანხა საბანკო ქვითრით გადაიხადა, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ საბანკო ანგარიშზე აღნიშნული თანხა არ აღმოაჩნდა. თუ ტენერს დამნაშავედ ცნობენ, მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ტენერი 70-იან წლებში საჩოგბურთო მწვერვალზე იმყოფებოდა. 1977 წელს მან ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოიგო, ხოლო 1979 წელს უიმბლდონის ფინალში ითამაშა, სადაც სახელოვან ბიორნ ბორგთან შეხვედრაში დამარცხდა.

■ ■ ■

კალათბურთი. გუშინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ალენ ვეისმა გუნდის ახალი კაპიტანი დაასახელა. ის არის "სანანტონიო სფერსის" გამთამაშებელი, NBA-ის ჩემპიონი ტონი პარკერი. 21 წლის კალათბურთელმა კაპიტნის სამკლაური ვეტერანი ლორან სკიარასგან მიიღო. "მე ტონი ავირჩიე, რადგან მას ბუნებრივი ქარიზმა აქვს, რაც ლიდერობას გაუადვილებს. ამას გარდა, გუნდის თამაში სწორედ მას მიჰყავს," - განაცხადა ვეისმა. კაპიტნის დებიუტი შაბათს შედგება, როცა ამხანაგურ შეხვედრაში ერთმანეთს საფრანგეთისა და შვედეთის ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან.

■ ■ ■

ფორმულა 1. კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია არავითარ კომენტარს არ აკეთებს "მაკლარენში" მის შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით, მაგრამ "ფერარისთან" თანამშრომლობის შესახებ გარკვევით აცხადებს: "ფერარი" ერთი პილოტის გუნდია. მე არავითარ შემთხვევაში არ მსურს, მეორე ნომერი ვიყო. შუმახერი აირტონ სენას ყველა ასპექტში ჩამოუვარდება - დაამატა მონტოიამ - და სენა რომ ცოცხალი ყოფილიყო, დღეს მიხაელს ორი ტიტულით ნაკლები ექნებოდა".

ამბები

ჯაგერი ავადაა

სამშაბათს ესპანეთის კურორტ ბენიდორმში დაგეგმილი "როლინგსთოუნზის" კონცერტი მიკ ჯაგერის ავადმყოფობის გამო გადაიდო. ოფიციალური ინფორმაციით, მუსიკოსი ხორხის ანთებითაა ავად.

ბენიდორში დაგეგმილი კონცერტით "სტოუნზი" ასრულებდა გამოსვლებს ესპანეთში. ესპანეთის მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ჯაგერის ავადმყოფობის გამო ჩაშლილი კონცერტი 19 სექტემბერს გაიმართება. "სტოუნზს" უკვე ჰქონდა საკონცერტო გამოსვლები ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებში: ბილბაოში, მადრიდსა და ბარსელონაში. რაც შეეხება ჯგუფის მსოფლიო ტურნეს, ის ლონდონში სექტემბრის შუა რიცხვებში უნდა დასრულდეს.

რიკი მარტინი შანხაის გასაღების მფლობელია

პოპულარული მომღერალი პუერტო-რიკოდან, რიკი მარტინი პირველი უცხოელია შანხაიში, ვისაც მეგაპოლისის სიმბოლური გასაღები გადასცეს. ქალაქის ადმინისტრაციამ პოპ-ვარსკვლავი მეგობრობის ელჩადაც კი აღიარა. ამიერიდან კი, რიკი მარტინს ისღა დარჩენია, შანხაის შესახებ დანარჩენ მსოფლიოს უამბოს.

ლათინოამერიკელმა მომღერალმა მადლიერების გამოსახატად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასო გალა-კონცერტი მოაწყო. ამას გარდა, მარტინი აუდიტორიას დაჰპირდა, რომ უფრო გრანდიოზულ კონცერტს იქ მომავალ წელსაც გამართავს.

რიკი მარტინის კვალდაკვალ, სიმბოლური გასაღების ასლებს გადასცემენ სხვა ვარსკვლავებსაც, რომლებიც 2010 წლამდე დაგეგმილ პროგრამაში "მსოფლიოს ცნობილი ადამიანები შანხაიში" მიიღებენ მონაწილეობას. პროექტი მეგაპოლისის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას ემსახურება.

მუსიკა მშვიდობისთვის

პიანისტმა დანიელ ბარენბოიმმა პალესტინელებისთვის რამალაში კონცერტი გამართა. საკონცერტო გამოსვლით მუსიკოსმა კიდევ ერთხელ სცადა გარკვეული წვლილი შეეტანა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში. რამდენადაც ცნობილია, ეს არ არის მუსიკოსის პირველი აქცია კონფლიქტის ზონაში. ოთხი წლის წინათ პიანისტმა პალესტინელი და ებრაელი მუსიკოსებისგან სახელდახელო ორკესტრიც კი შეადგინა.

დანიელ ბარენბოიმი კონფლიქტის მოგვარებას მისთვის შესაძლებელი თითქმის ყველა ხერხით ცდილობს – აქვეყნებს პუბლიკაციებს ცნობილ დასავლურ პერიოდულ გამოცემებში, გამოდის რადიო და ტელეეთერში. თუმცა, პიანისტის სამშვიდობო აქციებს მხოლოდ ევროპაში თუ აფასებენ. ისრაელში მუსიკოსის მოღვაწეობას არაერთგვაროვნად ხვდებიან, რაზეც თავად პიანისტს ერთადერთი პასუხი აქვს: ომი არ არის ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების გზა.

REM ტურნეს სამზადისში

ჯგუფი REM იწყებს უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში თავის პირველ ტურნეს. კონცერტები გაიმართება ჯგუფის უკანასკნელი ალბომის In time-ის მხარდასაჭერად. 24 დღიანი ტურნეს განმავლობაში მუსიკოსები 75 სიმღერის შესრულებას ვარაუდობენ. საკონცერტო პროგრამის გახსნით ჯგუფის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ REM-ის შემოქმედებითი მოღვაწეობის განახლება იზეიმონ.

სტუმრობა მხატვართა კავშირში

ქუთაისში ტრადიციული პლენერი გაიმართება

ვერა ნეფარიძე

გუშინ მხატვართა კავშირის ახალი თავმჯდომარე გია ჯანბერიძე იმერეთის გუბერნატორს მასპინძლობდა. კავშირის გამგეობის წევრები, გუბერნატორთან ერთად, ქუთაისში დაგეგმილი მხატვართა ტრადიციული პლენერის დეტალებს განიხილავდნენ. ერთთვიანი ღონისძიება, რომელიც წელს ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილეს ეძღვნება, იმერეთში 21 სექტემბერს დაიწყება.

თემურ შაშიაშვილი და გია ჯანბერიძე კარგ ხასიათზე არიან.

მხატვართა პლენერს, რომელიც წელს მხატვართა საერთაშორისო სიმპოზიუმის სახელწოდებით გაიმართება, მეორე წელიწადია ზედიზედ უმასპინძლებს ქუთაისი. მანამდე, ეს კულტურული ღონისძიება ხანგამოშვებით ეწყობოდა იმერეთის რეგიონში. პლენერის ისტორია 1979 წელს, თერჯოლის რაიონში, სოფელ "საპოვნელაში" დაიწყო. 1985 წლიდან ის ქუთაისში გადაიტანეს. მაშინ, რასაკვირველია, ღონისძიება საკავშირო დონეზე ეწყობოდა. 1990 წლიდან პლენერის მეურვეობა ქუთაისის გუბერნატორმა საკუთარ თავზე აიღო. ამის შემდეგ, ღონისძიება, ადვილად მისახვედრი მიზეზების გამო, გარკვეული პაუზებით იმართებოდა.

მხატვართა საერთაშორისო პლენერი, ეს არის ერთთვიანი ღონისძიება, სადაც კონკურსის შედეგად შერჩეული მხატვრები (აქამდე მასში მხოლოდ ფერმწერები მონაწილეობდნენ, მათ რიცხვს წელს მოქანდაკეებიც შეემატებიან) ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობენ ქუთაისში, მუშაობენ, დადიან კულტურული პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულ ადგილებში. შედეგად, ამ პერიოდში შესრულებული მხატვრული ტილოებიდან ორი რჩება ადგილობრივ გალერეას. როგორც გუშინ თემურ შაშიაშვილმა გვითხრა, პლენარების წყალობით, ქუთაისის გალერეა საკმაოდ საინტერესო კოლექციას ფლობს. "მე შემოვდივარ იდეით, ვინაიდან წლევანდელი ღონისძიება ბაგრატის ტაძრის 1000 წლოვან იუბილეს ეძღვნება, შეიქმნას ბაგრატთან დაკავშირებული ორი ფერწერული ტილო ან ქანდაკება. დანარჩენი ნამუშევრების თემატიკა, რასაკვირველია, იყოს თავისუფალი", - ეს იდეა მხატვართა კავშირის გამგეობის წევრებს გუშინ იმერეთის გუბერნატორმა გააცნო.

სიმპოზიუმში, დაახლოებით, ოცდახუთი ქართველი და უცხოელი მხატვარი მიიღებს მონაწილეობას. ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, მათი ნამუშევრებით მომზადდება გამოფენა, რომელსაც პირველად თბილისში, თბილისობის სახალხო ზეიმის დროს აჩვენებენ. მომავალ წელს კი გამოფენა პარიზში გაიგზავნება. თემურ შაშიაშვილის თქმით, შეთანხმებულია ამ გამოფენის ჩვენება ევროპის ქალაქებში: რომი, ლონდონი, ათენი და ა.შ.

ჯერჯერობით, არაა შედგენილი სიმპოზიუმში მონაწილეთა შემადგენლობა. მხატვართა კავშირის ქუთაისის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ჯეირან ფაჩუაშვილის თქმით, ორგანიზატორები უახლოეს დღეებში დაიწყებენ კანდიდატების განცხადებების მიღებას. კანდიდატების შესარჩევად რაიმე განსაკუთრებული კრიტერიუმი არ არსებობს. პლენარებს ჰყავს მრავალწლიანი მონაწილეებიც, ასე რომ, არაა გამორიცხული წლევანდელ ღონისძიებაში ნაცნობ სახელებთან შეხვედრა.

"საერთაშორისო პლენარებს თვითონ მხატვრებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ დროს ხდება მათი გაცნობა-დაახლოება, აღარაფერს ვამბობ იმ რეზონანსზე, რომელიც საქართველოს, გარკვეული ხნის განმავლობაში, უცხოელი ხელოვანების ყურადღების ცენტრში აქცევს", - ამბობს მხატვარი ნინო ზაალიშვილი და მაგალითად მოჰყავს პლენერის შარშანდელი მონაწილის, ამერიკელი მხატვრის ჯოზეფ კეიგლის შთაბეჭდილებები. იმ დროისათვის გაცილებით აქტუალური იყო 11 სექტემბრის ტერაქტის თემა, როდესაც ამერიკელ მხატვარს პლენერის დასრულების შემდეგ უთქვამს: "საქართველოში ყოფნისას ყველაზე კარგად გავიგე თავისუფლებისა და დემოკრატიის ფასიო".

დაიმსახურებს თუ არა უკეთეს შეფასებებს წლევანდელი სიმპოზიუმი, ამას მოგვიანებით ვნახავთ. ალბათ უფრო სავარაუდოა, რომ – დიახ. რადგანაც, წლევანდელი ღონისძიების მონაწილეებს გაუმართლათ – სიმპოზიუმის მსვლელობისას ქუთაისი საუბილეო ეიფორიაში იქნება. ეყოლება უამრავი სტუმარი (მოსალოდნელია მსოფლიოს მართლმადიდებელი პატრიარქების ვიზიტი), გაიმართება კულტურული ღონისძიებები – ერთი სიტყვით, შთაბეჭდილებებისთვის მშვენიერი პირობები იქნება. რაც შეეხება თვითონ სიმპოზიუმის ხარისხს, როგორც ღონისძიების თანაორგანიზატორი მხარის, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, გია ჯანბერიძე ამბობს: "ყველანაირად შევეცდებით მონაწილე მხატვრების შემადგენლობა წარმომადგენლობითი იყოს. მხატვრული დონე მაღალი იქნება. ამის გარანტიას ვიძლევი".

არის კი შოუ პოლიტიკა?

ნანა ბასილაშვილი

კულტურის განყოფილებაში მომუშავე ჟურნალისტები, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას არ ვაშუქებთ, რადგანაც რადიკალურად განსხვავებულ სფეროში ვმუშაობთ. ჩვენი ყურადღება მხოლოდ კულტურული მოვლენებისკენაა მიმართული. ეს უკანასკნელი კი, ერთი შეხედვით, პოლიტიკისგან ძალიან შორსაა. თუმცა, მათი წარმომადგენლები, შიგადაშიგ, ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობებს ამყარებენ ხოლმე. რასაც, რასაკვირველია, თავისი ახსნა აქვს.

როგორც წესი, საერო დღესასწაულებზე ქვეყანას ერთი თემა და ერთი საქმე აქვს. დღესასწაულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ის შემთხვევაა, რომელსაც ძალუძს ყველაფერი მოიცვას. განზე, რა თქმა უნდა, არც ხელოვნება და მისი წარმომადგენლები რჩებიან. ეს, ზოგადად, საკმაოდ მიღებული და ცნობილი ფაქტია. წინასაარჩევნო პერიოდში, ყველა პარტია თუ პოლიტიკური გაერთიანება, საკუთარი პროგრამისა და მიზნების მაქსიმალურად წარმატებული გზით გადმოცემაზე მუშაობს. ამისათვის ისინი ათასნაირ ხერხსა და საშუალებას მიმათავენ. საარჩევნო პლაკატებითა და ბროშურებით დაწყებული, ღია აქციებამდე, ისინი მაქსიმალურად ავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს. მხარდასაჭერად ნაცნობ-მეგობრებს დახმარებას სთხოვენ, უცნობებს უმეგობრდებიან, მოკლედ, ყველანაირ ოფიციალურ და არაოფიციალურ, სამართლიან და უსამართლო, მიღებულ და მიუღებელ ფორმებსა და საშუალებებს მიმართავენ.

ალბათ, ყველას კარგად ახსოვს 1999 წლის არჩევნებისათვის მხარდასაჭერი პირველი ქართული ვიდეო რგოლი. "გიხაროდენ"-მა მაშინ, თავისი მისია სრული წარმატებით შეასრულა. იმ წელს მოქალაქეთა კავშირის მმართველ პარტიად მეორედ არჩევაში, ამ კლიპს დიდი დამსახურება მიუძღვის. კლიპში ქართული ესტრადის თითქმის ყველა ვარსკვლავი მონაწილეობს. ისინი იმდენად დამაჯერებლად და მონდომებით ასრულებდნენ მათ მიერ აღებულ ვალდებულებას, რომ შედეგმაც არ დააყოვნა. მაშინ ამომრჩევლთა უმრავლესობამ დაიჯერა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სასიხარულოდ გვქონდა საქმე.

ზოგადად, მუსიკა რომ დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერსა თუ არაცნობიერზე, ეს ფაქტი სიახლეს არ წარმოადგენს. არჩევნებზე, შოუ-ბიზნესზე და მათ თანამშრომლობაზე გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში ისაუბრეს. ზემოთაღნიშნული შემთხვევებისათვის მუსიკისა და საერთოდ შოუ ბიზნესის, ასე ვთქვათ, პატიოსნად გამოყენებაზე და მასთან ერთად საზოგადოებაში მედიის როლზე, აზრი გამოთქვეს პარლამენტარმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა, სოციოლოგებმა ვაკა გორგილაძემ და ანი აბრამიშვილმა, კულტუროლოგმა ლელა იაკობიშვილმა და კულტურის სამმართველოს უფროსმა დავით ოქიტაშვილმა.

"ხელოვნების მუშაკებს არ შევენით პოლიტიკაში ჩარევა, მაშინ როდესაც არ იციან რა არის პოლიტიკა. თუმცა, თუ მაინც არჩევნებისათვის დასახმარებლად შოუბიზნესს მივმართავთ, სწორად და პატიოსნად მაინც უნდა გამოვიყენოთ. რადგან, საზოგადოებაში მუსიკაზე მოთხოვნილება ყოველთვის მაღალია, შესაძლებელია მოსახლეობაში არსებული თანამედროვე მუსიკალური მოთხოვნებისა და განწყობების სასურველი მიზნით გამოყენება", - აჭარის წარმომადგენლობის მუდმივმა მასპინძელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა, არჩევნებისა და შოუბიზნესის ურთიერთობის საკითხი ასე დააყენა:

"პარტიები თავის იმიჯს შოუბიზნესის წარმომადგენლების საშუალებით იქმნიან. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებზეა გათვლილი. მათთვის ქუჩის აქციებსა და სხვადასხვა კონცერტებს მართავენ იმ მიზნით, რომ გადამწყვეტ მომენტში საარჩევნო ყუთთან მისულ ამომრჩევლს გაახსენდეს - იგი ამა თუ იმ პარტიის მიერ გამართულ კონცერტს დასწრო და ა.შ. წარმოუდგენელია მომღერლების მსოფლმხედველობის ხუთ თვეში ერთხელ ცვლა, დღეს ერთს უჭერენ მხარს, ხვალ მეორეს..." – დათო ოქიტაშვილი თვლის, რომ დღეს ქართულ შოუ-ბიზნესში მეტისმეტი მსოფლმხედველობის მომღერლები ჭარბობენ.

მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის ირგვლივ მუშაობა უკვე დაიწყეს სხვადასხვა სოციოლოგიურ-ანალიტიკურმა ჯგუფებმაც (რამდენად სანდოა წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული ესა თუ ის გამოკითხვა, ეს კიდევ სხვა თემაა). დღეს უკვე საზოგადოება, ნაწილობრივ, მათ მიერ მიღებულ შედეგებს ეცნობა. ანალიტიკური ჯგუფის - "ჯეოტერას" მიერ საკმაოდ საინტერესო გამოკითხვის შედეგების შესახებ სოციოლოგმა ვაკა გორგილაძემ ისაუბრა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგული მაჩვენებელი მომღერალმა ლელა წურწუმიამ დააგროვა. მისი ერთგული მსმენელის არჩევანი კი, არც მეტი, არც ნაკლები, სამ პოლიტიკოსზე ნაწილდება; მათ შორის უპირატესობით ვახტანგ რჩეულიშვილი სარგებლობს, მეორე და მესამე ადგილს მიხეილ სააკაშვილი და შალვა ნათელაშვილი იყოფენ. ბუბა კიკაბიძის თაყვანისმცემლები ვახტანგ რჩეულიშვილის პოტენციური ამომრჩევლები არიან. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, "ჯეოტერას" მიხედვით, საქართველოს მომღერალ თიკა ჯამბურიას მსმენელი პრეზიდენტის ამომრჩეველია და ა.შ.

საბოლოოდ, დისკუსიაზე დაასკვნეს, რომ პოლიტიკა არის შოუ და შოუ არის პოლიტიკა. ორივე შემთხვევის ქართული ვარიანტი კი განსაკუთრებულად საინტერესო და მომხიბლავია. ამასობაში, ამომრჩევლები ... "გიხაროდენ".

შიშველ კამერონ დიასს, ჯერჯერობით, ვერავინ ნახავს

ფოტოსურათები, რომლებზეც შიშველი კამერონ დიასია აღბეჭდილი, არ გამოქვეყნდება. ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ვიდრე სასამართლო მათ ბედს საბოლოოდ არ განსაზღვრავს.



კამერონ დიასი ტანსაცმლით და ტანსაცმლის გარეშე.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ლოს ანჟელესის სასამართლომ კამერონ დიასის საქმესთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ჰოლივუდის მსახიობი კამერონ დიასი უკრძალავს ჯონ რატერს გაყიდოს ის ფოტოსურათები, რომლებიც ფოტოგრაფმა მსახიობს ჯერ კიდევ "ვარსკვლავობამდე" გადაუღო.

ხმაური ამ ფოტოების ირგვლივ კამერონ დიასმა, დაახლოებით, თვენახევრის წინათ ატეხა. მაშინ სუპერვარსკვლავს შერცხვა, როდესაც მოულოდნელად, ათი წლის წინანდელ, ფოტომოდელად მუშაობის დროს გადაღებულ სურათებში საკუთარი სიშიშვლე დაინახა. განცდა იმდენად მძაფრი იყო, რომ მსახიობს სრულებით არ დაზარებია საქმის გამო სასამართლოსთვის მიემართა.

კამერონ დიასს უბრალოდ, არ სურს, ფოტოსურათებმა საზოგადოებამდე მიაღწიოს. როგორც იგი ამტკიცებს, მას ფოტოგრაფისთვის არც თავის დროზე მიუცია ფოტოების გამოქვეყნებისა და გაყიდვის უფლება. თუმცა, საპირისპიროს მეტყველებს კონტრაქტი, რომელიც ჯონ რატერმა წარუდგინა სასამართლოს. რატერი კი ამტკიცებს, რომ ვიდრე ნამუშევრების გაყიდვას დააპირებდა, დაუკავშირდა მსახიობის ადვოკატებს და პირველად სწორედ მათ შესთავაზა სურათები. ამასთან ერთად, იგი აქტიურად იყენებს კონტრაქტს კამერონ დიასის ხელმოწერით, სადაც ჯერ კიდევ ფოტომოდელი თანახმაა სურათების ავტორმა მისი სურვილისამებრ გაავრცელოს გადაღებული მასალა. ამასთან დაკავშირებით, დიასი ამბობს, რომ კონტრაქტზე მისი ხელმოწერა ყალბია. რასაკვირველია, ასეთ "ბრალდებას" სუპერვარსკვლავი უარყოფს.

ისე, ცოტა უცნაურია კამერონ დიასისგან ასეთი სასარჩელო საქმის წამოწყება. მითუმეტეს, ისეთ ფონზე, როცა მისი შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოების ნახვა შესაძლებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც ინტერნეტში ძებნა არ დაეზარება.

კამერონ დიასი პირველად კინოეკრანებზე 1994 წელს, ცნობილ ფილმში "ნიღაბი", ჯიმ ქერისთან ერთად გამოჩნდა. ამას გარდა, ის ცნობილია ფილმებით: "ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი", "ჩარლის ანგელოზები" და "ცოტა რამ მერის შესახებ".

მუსიკა მშვიდობისთვის

პიანისტმა დანიელ ბარენბოიმმა პალესტინელებისთვის რამალაში კონცერტი გამართა. საკონცერტო გამოსვლით მუსიკოსმა კიდევ ერთხელ სცადა გარკვეული წვლილი შეეტანა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში. რამდენადაც ცნობილია, ეს არ არის მუსიკოსის პირველი აქცია კონფლიქტის ზონაში. ოთხი წლის წინათ პიანისტმა პალესტინელი და ებრაელი მუსიკოსებისგან სახელდახელო ორკესტრიც კი შეადგინა.

დანიელ ბარენბოიმი კონფლიქტის მოგვარებას მისთვის შესაძლებელი თითქმის ყველა ხერხით ცდილობს – აქვეყნებს პუბლიკაციებს ცნობილ დასავლურ პერიოდულ გამოცემებში, გამოდის რადიო და ტელეეთერში. თუმცა, პიანისტის სამშვიდობო აქციებს მხოლოდ ევროპაში თუ აფასებენ. ისრაელში მუსიკოსის მოღვაწეობას არაერთგვაროვნად ხვდებიან, რაზეც თავად პიანისტს ერთადერთი პასუხი აქვს: ომი არ არის ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების გზა.

უჩვეულო კონკურსი

მფრინავი ცხოველები, ადამიანები და სახლები ლონდონის ცენტრში. ასეთ უჩვეულო სანახაობას შეესწრნენ ბრიტანელები. ინგლისის დედაქალაქში ხელნაკეთი მფრინავი აპარატების კონკურსი გაიმართა.

შეჯიბრის მიზანია, რაც შეიძლება შორს გაფრინდეს ნივთი. მაგრამ, რადგანაც ყველა კონკურსანტი არ იცნობდა პირობებს, ამიტომ მათი ხელნაკეთები რამდენიმე მეტრის "გადაფრენას" ძლივსძლივობით ახერხებდნენ. ამის გამო, ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება, უპირატესობა მიენიჭებინა ორიგინალური ნივთისთვის. მფრინავმა ფლამინგოებმა, კიბორჩხალებმა თუ გოჭებმა, ჟიურის გული ვერ მოიგო. სამაგიეროდ, გაუმართლა ნაგებობას სახელწოდებით "ტრადიციული პაბი". პირველი ადგილი შეხვდა "მფრინავ ელვის პრესლის", რომელმაც ყველაზე მეტი აპლოდისმენტი მიიღო მაყურებლებისგან. ნამუშევრის ავტორი ჯილდოდ 8 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს.

"ვარსკვლავური ომები" სახლში

უძრავი ქონების ბაზარზე ბრიტანეთში უჩვეულო წინადადება შევიდა: ცნობილმა დიზაინერმა ტონი ენესლიმ გასაყიდად გაიტანა საკუთარი ბინა, სადაც მოთავსებულია კოსმიური საგას "ვარსკვლავური ომების" ხომალდის ასლი.

აპარტამენტის ტექნიკური აღჭურვილობა, დაახლოებით, მილიონნახევარი ფუნტი სტერლინგი ღირს. თავად მფლობელი მიიჩნევს, რომ თანხა პრობლემა არ იქნება სერიალის ნამდვილი თაყვანისმცემლებისთვის.

The Strokes-მა დაასრულა ჩაწერა

ამერიკულმა ჯგუფმა The Strokes დაასრულა მუშაობა რიგით მეორე ალბომზე. ალბომის გამოშვება დაგეგმილია 21 ოქტომბრისთვის.

გასულ უიკენდზე ჯგუფი მონაწილეობდა იაპონიაში, ოსაკასა და ტოკიოში გამართულ როკ-ფესტივალზე Summer Sonic. კონცერტზე ამერიკულმა ჯგუფმა სამი ახალი კომპოზიცია შეასრულა. ალბომის გამოსვლამდე მუსიკოსები, პერიოდულად, კონცერტებს გამართავენ სხვადასხვა კლუბებში.

ჰოლანდიელები ცოცხალი ვან გოგის ჩვენებას გვპირდებიან

ჰოლანდიელი კინემატოგრაფების ჯგუფი ვან გოგის შესახებ დოკუმენტურ ფილმს შექმნის. ფილმში, ძირითადად, გამოყენებული იქნება ჰოლანდიაში აღმოჩენილი უძველესი კინოფირი, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს არის შექმნილი.

ეს კინოფირი ნიდერლანდებში ჯერ კიდევ 1984 წელს აღმოაჩინეს. მის რესტავრაციაზე მუშაობისას ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ბობ დე გრააფმა ფირზე აღმოჩენილი ადამიანის სახე ვან გოგს მიამსგავსა. გამოსახულებისა და სასწაულებრივად გადარჩენილი მხატვრის ფოტოსურათების შედარების საფუძველზე, გრააფი დარწმუნდა, რომ ფირზე სწორედ უდიდესი ჰოლანდიელი მხატვარი იყო გამოსახული.

რამდენიმე დღის წინათ ეს სურათი, ვან გოგის ავტოპორტრეტთან ერთად, კომპანია "ლიუმინეს ფილმ პროდაქშენის" საიტზე გაიტანეს. ახლა ჯერი სპეციალისტებზეა: სწორედ მათ უნდა გამოიტანონ დასკვნა – მე-19 საუკუნის უცნობმა კინომოყვარულმა მართლა სცადა თუ არა, დიდი ჰოლანდიელი მხატვრის კინოფირზე აღბეჭდვა. თუკი ასე აღმოჩნდა, მაშინ ჰოლანდიელებს მართლაც ექნებათ სიხარულის საფუძველი – ამ შემთხვევაში აღნიშნული კინოფირი ყველაზე უძველესია მათ შორის, რაც კი ნიდერლანდებში აღმოუჩენიათ. რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმს, მას პირველად 9 აგვისტოს, მხატვრის მშობლიურ ქალაქ გროოტ ზიუნდერტში, ვან გოგის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ დღეებზე აჩვენებენ.

TV პროგრამა
7 აგვისტო

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **08.50** სერიალი "ტომ სოიერის თავგადასავალი" **10.00** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "ვნებათაღელვა". მთ. რ-ში: ჟან როშფორი, სანდრინ ბონერი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.15** მხ. ფილმი "გონებრივი შეტევა" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" 1-ლი ს. **15.15** მხ. ფილმი "ქვის მფარველები" **16.45** ტელესერიალი "ძილის წინ" **17.00** დოკ. სერიალი "ავანტიურისტი მედიკოსები" **17.25** თბილისი და თბილისელები **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუზუ **18.55** პალიტრა **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **22.15** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი "დანაშაულის გენეალოგია".

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "გზავნილი ბოთლში" მთ. რ-ში კევინ კოსტნერი, რობინ რაიტ პენი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "ჩიტუნა" მთ. რ-ში რომი შნაიდერი, ადამ სენდლერი. **02.00** "ღამურა" "ცელქი" მთ. რ-ში ანა ამირატი. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "მადმუაზელი" **20.45** ისტორიანი **21.10** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით".

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ძმები ბლუზები" **14.30** მხ.ფილმი "უკან მომავალში 3" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ფლიუკი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ლამაზმანი ჯო" **22.30** მხ. ფილმი "რეალობა იკბინება".

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ტალღის ქიმზე" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "ახალი ჭიანჭველები შარვალში" **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.40** მხ. ფილმი "მთელი მომხიბვლელობით" **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **22.15** დიალოგი **23.45** მუსიკა **00.05** მხ. ფილმი "შიშის ფასი" **01.50** ღამის ფილმი.

მეცხრე არხი

09.30 სერიალი "შაკა-ზულუ" 1-ლი ს. **10.20, 11.55, 14.15, 17.20, 19.50** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" 1-ლი ს. **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.10** მხ. ფილმი "ნებაყოფილობითი სული აღმოხდეს" **13.40** კინოგადაცემა "ბუშტრატორი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **15.30** სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-7 ს. **17.50** სერიალი "შაკა-ზულუ" მე-2 ს. **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "ციებ-ცხელება" **22.00** დოკ. ფილმი "მოჩვენებათა თავგადასავალი" 1-ლი ს. **22.25** ტელემეტრი - მზის დაკვირა-ტება **22.50** მოკლ. მხ. ფილმი "სიცოცხლე ხარმავალია" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** რუს. მხ. ფილმი "იდიოტის ოცნებები".

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** არწ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "გველგესლა" **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე "დიდი ბიზნესი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** ისტორიული ფილმი "სამი მეფის მერკინება" მე-4 ს. **10.00, 13.40, 20.30, 22.40** ვიდეოარტი **10.05, 13.45, 22.45** მუსიკა **10.25** მხ. ფილმი "არასასიამოვნო თავგადასავალები მაიმუნებთან" **12.10** მხ. ფილმი "წინასწარმეტყველება" **14.15** მხ. ფილმი "ბედისწერის საჩუქარი" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "კოსმოსური ჯემი" **17.40** მხ. ფილმი "რომის განადგურება" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40** "პირისპირ" (ავტორი ვ.კვარაცხელია) **20.35** მხატვრული ფილმი "მე-20 საუკუნის მეკობრეები" **21.55** გალერეა **22.50, 01.00** მუსიკა **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** მხ. ფილმი "ქუხილის დღეები" **02.35, 03.20** მუსიკა **04.10** მხატვრული ფილმი "ძალაუფლება".

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.25** მელოდია **10.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** მელოდია . **11.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.10** დინები და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.50** მელოდია **13.00** კომპიუტერული ტექნიკა **18.15** მოკლედ...საქართველო, ეკონომიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.15** კომპიუტერული ტექნიკა **20.50** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.15** დოკ.ფილმი "ბრძოლა ნესბის გარეშე" **21.35** მობილურები **22.20** "კინოკლუბი" - "ეგვიპტის პრინცი". სათავგადასავლო. რეჟ: რასელ მაკკაჰი. როლებში: ჯეისონ სკოტ ლი, ლიზეტ ანტონი **00.15** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დღიური" - მე-9 სერია 01.10აუდიო-ვიდეო-ტელე.

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.05 Боевик "Александр Великий"** **12.05** "Смехопанорама" **12.35** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.15 Комедия "Спортивная честь" 15.15** Э. Радзинский. "В России все секрет... и ничего не тайна". Фильм 4 **16.15** Док.сериал "Дикие штучки" **16.50 Комедия "Любовное письмо" 18.30** Док. детектив "7 лет в ожидании расстрела". **19.20** "Сами с усами" **19.50 Худ.фильм "Сокровища мертвых", 3 с. 22.00, 00.30** "Время" **22.30 Худ.фильм "Крестный отец" 23.35 Сериал "Шпионка" 01.00** "Крылья" **01.30** "Безобразие красоты" **02.00 Худ.фильм "Утренняя острота"**

РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал "Каменская" 10.50 Сериал "Цыган" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.20 Детектив "Марш Турецкого 2" 14.15, 17.45** "Экспертиза" **14.30** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.10 Сериал "Семейные тайны" 17.15 Сериал "Простые истины" 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.45** Дорожный патруль **19.05** Вести-спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал "Комиссар Рекс" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Детектив "Марш Турецкого 2" 00.00** "Мифы без грифа". "Байкал" почти не виден" **00.55 Худ.фильм "Чаплин" 04.00 Сериал "От Земли до Луны" 05.05 Мелодрама "Перекрестки".**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **10.05** "Новейшая история: Курская дуга" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Растительная жизнь". Н. Сафронов **12.00** "Кулинарный поединок: Россия - Франция" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.55** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35 Сериал "Крот" 15.45** "Криминал" **16.35 Сериал "Семнадцать мгновений весны", 11 с. 18.25 Сериал "Скорая помощь 3" 19.20** "Очная ставка". "Цена жизни" **20.35 Сериал "Улицы разбитых фонарей". "Необоснованное применение" 21.50 Сериал "Крот", 4 с. 23.00** "Страна и мир" **23.30 Сериал "Клан Сопрано" 00.40 Сериал "Улицы разбитых фонарей" 02.15** "Гордон" **03.05 Сериал "Воры" 03.45** Кома

მილოშ ფორმანი: „ღიად პოლიტიკური ფილმი არასოდეს შემიქმნია"

ჟურნალ "ექსპრესის" მიხედვით

მხოლოდ თორმეტი სრულმეტრაჟიანი ფილმი ორმოცი წლის მანძილზე! მილოშ ფორმანს სრულ სამუშაო რეჟიმში და თუ შესაძლებელია, დემოკრატიულ გარემოში ცხოვრება უყვარს. 1968 წელს, როდესაც პრაღაში საბჭოთა ტანკები შევიდნენ, ჩეხი კინორეჟისორი შეერთებულ შტატებში, ჰოლივუდის მიმართულებით ემიგრირებს. ორი ოსკარის ("ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" და "ამადეუსი") მფლობელი, ამჟამად 70 წლის ფორმანი, 1998 წლიდან თავის მეუღლესთან ერთად ბედნიერების მორევში ცურავს.



მილოშ ფორმანი ორი ოსკარის მფლობელია

"გუგულის ბუდემ" რეჟისორს პირველი ოსკარი მოუტანა

ფორმანი ჭიმ კერისთან ერთად გადაღებებზე

- თქვენი ყველა ფილმი მახასიათებელია აჯანყებულთა ან ინდივიდუმის პორტრეტის ასახვა, რომელიც კონფლიქტშია არსებულ წყობასთან ან სახელმწიფო მოწყობის სისტემასთან. აღიარებთ თუ არა ამას?

- დიახ. ძალიან დიდ სიმპათიას ვგრძნობ აჯანყებულ სულთა მიმართ. მე თვითონ ორი ტოტალიტარული სისტემის - ნაციზმის და კომუნიზმის ქვეშ ვიცხოვრე. ვეთაყვანებოდი მათ, ვისაც ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეეძლო, მე თვითონ, დიდი გამბედაობა არასოდეს მყოფნიდა.

- ეს ალბათ თავმდაბლობაა, თქვენი პირველივე ფილმები იმდენად პოლემიკური იყო, რომ იძულებული გახდით ჩეხეთი დაგეტოვებინათ.

- არაფრის გაზვიადება არ არის საჭირო. ფილმებს - "ყვავის ტუზი" და "ქერათმიანი ქალის ვნებები", დიდად არავინ შეუწუხებია. რაც შეეხება "ხანძარი მეხანძრეებო!"-ს აქ უკვე სხვაგვარადაა საქმე. ვიცოდი, რომ ფილმი შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც პოლიტიკურად სახიფათო, მაგრამ თავი ძალიან ჭკვიანი მეგონა და თავს ვიმშვიდებდი, რომ რაღაცნაირად გამოვძვრებოდი. მით უმეტეს, რომ კარლო პონტიმ (იტალიელი კინომწარმოებელი) 85 ათას დოლარად იყიდა ფილმის ექსპლუატაციის უფლებები დასავლეთ ევროპისთვის. დარწმუნებული ვიყავი, ფილმს ჩემს სამშობლოში აკრძალავდნენ, მაგრამ მსოფლიო გადამარჩენდა. ეს შემთხვევა შეიძლება აღვიქვათ, როგორც უპასუხისმგებლობის უნებლიე გმირობა. ჩემს უგუნურებას უნდა დავაბრალო, რომ კარლო პონტის "ხანძარი მეძანძრეებო!" დასრულებისთანავე ვაჩვენე. ვერ გეტყვით რამ მოახდინა გავლენა მის გადაწყვეტილებაზე, რაიმე წნეხის გადატანა მოუხდა, თუ სხვა რამ, რადგან პონტიმ გააუქმა თავისი ვალდებულებები და უარი მითხრა ფილმის გატანაზე. რის შემდეგაც ოფიციალური წერილი მივიღე, რომელიც იუწყებოდა, რომ მე "სოციალისტური ეკონომიკის საბოტაჟისთვის" ვიდევნებოდი.

მაშინდელ ეპოქაში ეს ათწლიან პატიმრობას ნიშნავდა! საბედნიეროდ, კლოდ ბერიმ და ფრანსუა ტრიუფომ გადამარჩინეს, მათ პონტისგან ფილმზე უფლებები იყიდეს. მოგვიანებით, 1968 წლის ივლისში, დუბჩეკის მთავრობის დროს, პრაღაში სამი კვირის მანძილზე აჩვენეს ეს ფილმი, მაგრამ აგვისტოში საბჭოელები შემოვიდნენ და "ხანძარი მეხანძრეებო!" ოფიციალურად "სამუდამოდ აკრძალეს".

- თუკი ფრანგმა კინორეჟისორებმა გადაგარჩინეს და დაგეხმარნენ, რაღა შეერთებულ შტატებში გადასახლდით და არა საფრანგეთში?

- ალბათ ტურიზმის ბრალია (*იცინის*). ჰოლივუდი რეჟისორისთვის იგივეა, რაც პარიზი მხატვრისთვის - ის უნდა დაიპყრო. თუმცა, ხშირად ავიწყდებათ, რომ კინოს ეს მექა ევროპელების მიერაა დაარსებული. ჩვეულებრივ, როდესაც ჰოლივუდში ჩადიხარ, არავინ გეკითხება საიდან ბრძანდებითო. ერთადერთი შეკითხვა, რასაც დაგისვამენ, გახლავთ: "იცით ფილმის გადაღება თუ არა?"

- როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ფრანგმა კინორეჟისორებმა, რომლებიც შეეცადნენ ამერიკულ სისტემასთან დაახლოებას, გზა ვერ გაიკვალეს?

- მათ არ აწუხებდათ ისეთი იძულებითი რეჟიმი, როგორიც მე ან მაგალითად რომან პოლანსკის. ჩვენ არ შეგვეძლო უკან დაბრუნება, ეს გახლდათ მოტივი. ალენ რენესთან ვმეგობრობდი, როდესაც იგი შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა. ექვსი თვის მანძილზე ვერაფერი გააწყო და მისი უმოწყალო გაქცევის მოწმე გავხდი. მართალი გითხრათ, თავადაც ვერაფერს მივაღწიე წელიწადნახევრის მანძილზე, მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო და საბოლოოდ მივაღწიე Taking off-ის გადაღებას, რომელსაც ასე შევაფასებდი - ჩეხური ფილმი ინგლისურ ენაზე.

- იგივეს ამბობთ 1975 წელს გადაღებულ ფილმზე "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"...

- ეს უფრო შეეფერება სინამდვილეს. "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", იმ სამყაროს აღწერს, სადაც მე ვცხოვრობდი, ხოლო ექიმი მილდრედ რეტჩედი (ლუიზ ფლეტჩერის მიერ განსახიერებული), კომუნისტური აპარატია. იმ რეჟისორებისაგან განსხვავებით, რომლებიც ბოროტების მიმართ თანაგრძნობას განიცდიან, ამ პერსონაჟის მიმართ არანაირი სიმპათია არ გამაჩნია.

- იგივეს ვერ ვიტყვით 1979 წელს გადაღებულ "ამადეუსზე", როდესაც თქვენ პრაღაში დაბრუნდით.

- თავიდანვე პრაღაზე არ მიფიქრია. ალბათ იმ მოტივით, რომ ვიზაზე ჩემს მოთხოვნას სადღაც მოისროდნენ. მაგრამ ვენაში გადაღება ძვირი ჯდებოდა. ბუდაპეშტი გამორიცხული იყო... პრაღა რჩებოდა. ერთგვარი შეთანხმება დავდე პარტიულ კომიტეტთან, ფილმის გადაღების ნებას დამრთავდნენ, თუ დისიდენტებთან არ ვიქონიებდი ურთიერთობას. ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყოველ წუთს მითვალთვალებდნენ. ჩემი მძღოლიც კი ისეთი ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა, რომ თავად გამაფრთხილა თვალთვალის თაობაზე, რამაც სრულებითაც არ ამაღელვა, მიუხედავად ყველაფრისა ყველა ჩემი მეგობარი მოვინახულე. კინოფაკულტეტის სტუდენტებსაც შევხვდი, რომლებსაც ჩემთან საუბარი უნდოდათ. მათი უსაფრთხოების მიზნით, რათა ჩემი გამგზავრების შემდეგ მათზე არავის მოეხდინა ზეწოლა, საჭირო ხალხს დავუკავშირდი და პრაღის ერთ-ერთ ბაღში მდებარე, ექსკლუზიურად ჩვენთვის დათმობილ რესტორანში შევხვდი მათ. 30 სტუდენტი და 6 ოფიციანტი იყო, ხუთ მათგანს ჩვენი მომსახურების დროს ლანგარი ხელიდან გაუვარდა და დაემსხვრა, იმიტომ კი არა, რომ უშნოები იყვნენ, ექვსიდან ხუთი მათგანი პოლიციიდან იყო. ჩემი საუბარი სტუდენტებთან მხოლოდ კინოს და ტექნიკას შეეხებოდა.

- ამერიკელები არ შეწუხდნენ თქვენ რომ პრაღაში დაბრუნდით?

- არა. ყურადღებაც კი არავის მიუქცევია. მით უმეტეს, რომ ღიად პოლიტიკური ფილმი არასდროს გადამიღია. ეს სულაც არ მაინტერესებს. მართალია, არაფერი საწინააღმდეგო დრამატურგიულად არა მაქვს, მაგრამ ინდივიდუალური ამბები მირჩევნია, პერსონაჟები ისტორიის პირისპირ. თუნდაც "ამადეუსი" აიღეთ, ეს ხომ მსხვერპლად შეწირული გენიოსის გახსენებაა და არა პოლიტიკურ-ფინანსური შეხლა-შემოხლა. ფრანგები საკმაოდ კონსერვატიული ხალხი ხართ. მახსენდება, როდესაც ბილ კლინტონი პარიზში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა, ჟაკ შირაკთან ერთად ერთ-ერთ რესტორანში სადილობდა და ლუდი მოითხოვა. რესტორნის მეპატრონემ განუმარტა, რომ ეს ჩემი საყვარელი ჩეხური ლუდი იყო. ორივე პრეზიდენტმა ხუთი თუ ექვსი კათხა ლუდი მიირთვა. მეორე დღეს მთელი პრესა შირაკს აგინებდა, რომ მან კლინტონს ჩეხური ლუდი დაალევინა და არა ფრანგული ღვინო.

- ამით იმის თქმა გსურთ, რომ კონსერვატიზმი პოლიტიკოსებზე მეტად მეტად მედიის მიერ არის გაღვივებული?

- არც ასე იოლადაა საქმე. სხვა მაგალითს მოგიყვანთ. 2001 წლის 11 სექტემბრამდე ვერ ვხვდებოდი რომელ პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგა ამერიკის ოთხი მთავარი საინფორმაციო არხი. მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა სინათლე შეიტანა და პოლარიზება მოახდინა. ABC იძულებული იყო გაეუქმებინა თავისი "პოლიტიკური შოუ", რადგან გადაცემის ავტორმა თავის სტუმრებს განუცხადა, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ თქვან ტერორისტებზე, გარდა იმისა, რომ ისინი მხდალები იყვნენ, არგუმენტად კი ის დაასახელა, რომ იდეისთვის თავს ვერ გაწირავდნენ, თუ ელემენტარული გრძნობები არ გააჩნდათ. სწორედ ამან გამოიწვია წინააღმდეგობა და გადაცემაც დაიხურა. ესეც ცენზურის ერთგვარი ფორმაა.

- პარადოქსია, თქვენ მაღალ მატერიებზე საუბრობთ, კულტურასთან მიახლოება კი დაბალ დონეს უთანაბრდება. მაგალითად, მოცარტის მუსიკის აღმოჩენა პაბში შეგიძლიათ...

- ჯერ ერთი, რასაც თქვენ კულტურას უწოდებთ ახალი ტექნოლოგიებით ვითარდება. თუკი ბარი იმის შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდას, რომ დიდ მუსიკას ეზიაროს, რა არის ამაში ცუდი!

- და ბოლოს, რას ნიშნავს თქვენთვის დემოკრატია?

- მე ვფიქრობ ფანატიზმი საუბედუროდ ძალიან სწრაფად ვითარდება და რაც უფრო სავალალოა, დემოკრატია მსხვრევადი ხდება. რაც არ უნდა იყოს, საკმაოდ რთულია ადამიანის ნატურის შეცვლა, რომელიც ასეთი უცნაურია. ეს შემიძლია შევადარო ზოოპარკს, სადაც დაცული ხართ, საკმარისად ჭამთ, ვერავინ ვერაფერს დაგიშავებს, მაგრამ გალიაში ხარ. ხოლო დემოკრატია ჯუნგლებს ჰგავს, სადაც თავისუფალი ხარ, მაგრამ საკმაოდ საშიშიცაა. ყოველთვის მიკვირდა იმათი, ვინც გისოსებს მიღმა თავს ბედნიერად გრძნობდა. ასე რომ, ჩვენ პარადოქსულ სამყაროში ვცხოვრობთ.

- თავს ამერიკელად მიიჩნევთ?

- გააჩნია. ყოველდღიურ, ყოფით პრობლემებზე ინგლისურად ვფიქრობ, აბსტრაქტულ რამეებზე - ჩეხურად. ზოგჯერ ორივე ენაზე მომდის თავში აზრები და ეს მე სრულებით მაკმაყოფილებს.

იყიდება ავტომგასამართი სადგური 3000 კვ.მ. მიწის ფართობით აღმაშენებლის მე-14 კილომეტრზე
ტელეფონი: 8-99-55-46-17
8-99-71-55-30

"ყაზბეგის" პროდუქცია ამერიკის ბაზრისკენ დაიძრა

კომპანია "ყაზბეგი" საექსპორტო ბაზრების გეგმაზომიერ გაფართოებას განაგრძობს. უკვე რამდენიმე კვირაა, "ყაზბეგის" პროდუქციის სრული ასორტიმენტი (ლუდი, ცივი ჩაი, ლიმონათი) პოსტკომფლიქტურ ერაყს ამარაგებს. გუშინდლიდან მოყოლებული კი რეალობად იქცა კომპანიის მიერ გაკეთებული განაცხადი ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე პროდუქციის შეტანის თაობაზე: "ყაზბეგის" ლუდებით დატვირთულმა გემმა გუშინ უკვე დატოვა ფოთის ნავსადგური და აშშ-ს საპორტო ქალაქ ფილადელფიისკენ დაიძრა. "ამრიკაში ექსპორტის დაწყებასთან დაკავშირებით ორ მნიშვნელოვან ფაქტორს მინდა გავუსვა ხაზი: პირველ ეტაპზე მოგებას ნაკლები მნიშვნელობა ექნება. ამერიკულ ბაზარზე დამკვიდრებაში ეს დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება. ეს უზარმაზარი ქვეყანაა, შესაბამისად, უზარმაზარი სამომხმარებლო ბაზრით და, რასაკვირველია, მასზე დამკვიდრება ძალზე პრესტიჟულია. მეორე მხრივ, ამერიკის ბაზარზე საქართველოდან ჯერ არაფერი შესულა, ქართული ღვინოებისა და "ბორჯომის" გარდა. იმავდროულად ისიც უნდა აღვნიშნო, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ამერიკულ ბაზარზე ჯერ ვერავინ მოახერხა ფეხის მოკიდება. აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ ქვეყნის ბაზარზე შევდივართ, არა მარტო კომპანიისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია", აცხადებს "ყაზბეგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ კოსტავა.

"ყაზბეგის" ამერიკასთან დაკავშირება ქართველი ბიზნესმენის, დათო მარგველანის მეშვეობით მოხდა. მან ამერიკაში "ყაზბეგის" პროდუქციის პირველი საცდელი პარტია წაიღო. ამ პროდუქციით ამერიკის მოქალაქე ირანელი ბიზნესმენები დაინტერესდნენ და გასაგზავნი საქონლის ამერიკულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვეს: კერძოდ, საჭირო გახდა ეტიკეტისა და 0,5-ლიტრიანი ბოთლის დიზაინის შეცვლა, ასევე შესაფუთი ყუთის დიზაინის დახვეწა და მასზე შტრიხ-კოდის დატანა. ის რომ ამერიკის კანონმდებლობით სხვა ქვეყნის ექსპორტიორისთვის დაწესებული ბარიერები ძალიან ძნელად გადასალახია, "ყაზბეგმა" საწყის ეტაპზევე საკუთარ თავზე გამოსცადა. ჩამოთვლილი მოთხოვნების შესრულებას, არც მეტი, არც ნაკლები, სამი თვე დასჭირდა. თუმცა, საბოლოოდ, ყველა წამოყენებული პირობა შესრულდა და "ყაზბეგის" პროდუქციას ამერიკული ბაზრისკენ გზა საბოლოოდ გაეხსნა. თუმცა, ეს საკმაოდ შრომატევად მოსამზადებელ პერიოდთან იყო დაკავშირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აშშ-ს ყველა შტატს თავისი სპეციფიკა აქვს. ექსპორტის დაწყებამდე წინასწარ უნდა გაიგზავნოს ეტიკეტი, მოხდეს მისი დამტკიცება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება პროდუქციის გადატვირთვა. ამ მხრივ ექსპორტის დაწყება მცირე ხნით შეყოვნდა, ვინაიდან ამერიკელებმა დაიწუნეს ლუდ "მონადირის" თავდაპირველად წარდგენილი ეტიკეტი და მასზე ალკოჰოლის შემცველობის მაჩვენებლის უფრო მკვეთრად აღნიშვნა მოითხოვეს.

სადღეისოდ ეს ხარვეზი უკვე სრულიად აღმოფხვრილია და გუშინ ფოთიდან დატვირთული გემი უკვე გავიდა. სწორედ გემით მოხდება ამ ტვირთის ტრანსპორტირება ამერიკის საპორტო ქალაქ ფილადელფიამდე, გაყიდვით კი "ყაზბეგის" ლუდები ფილადელფიასა და ფლორიდაში გაიყიდება. ამ ეტაპზე ამერიკის ბაზარს ოთხი სახეობის ლუდი ("თოფაძე", "ყაზბეგი", "მონადირე" და "პორტერი") მიეწოდება. ლუდის ექსპორტის წარმატების შემთხვევაში კი "ყაზბეგი" ამერიკის ბაზარზე ცივი ჩაისა და ლიმონათის შეტანასაც გეგმავს.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ შშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.